

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდის ბეჭდით სიფყვას,
ცყილებით და ჭაბუბით ბუბის
გაფანა ყველა უკადრისდაზე
უსამაგლესია.



დაარსებულია
1918 წელს.



შაბათი, 31 აგვისტო, 2013 წელი.

№166 (7293)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

დემოკრატიული ქარსი

3



„ვის ანდობთ
ქვეყანას?!“ 2

„კავასუსის“ ამბივებს
მიუბნ კარის
ბიზნესმენები
იფორმებენ?! 4

„ფუფუნების ხიფის“ უსახელო
5 ამბავი ბანკების
ჯილდოების ფონზე

სირიის ბაზრ სპარტოლოვი
9 სანავი
ბაძვირდება



რუსეთი გეოგლებს
აუბნებს
8
სამხრეთ
კავკასიის არჩევანი



მიდი, ზანუო, გარისკე!
7



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..



„დღევანდელი ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემა გახლავთ პოლიტიკური უმწიფრობა, რომელიც კარგად ისარგებლა სააკაშვილმა. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ხელისუფლება დაქირავებულია ხალხის მიერ და არა პირიქით. სააკაშვილი კარგად მისგება, რომ ხალხს ამის გაგება არ უქონდა, ამიტომ საზოგადოების ნაცვლად წყვეტდა ყველაფერს“ – განაცხადა რამდენიმე დღის წინათ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, თუმცა პოლიტიკიდან წასვლაზე იქამდე ალაპარაკდა, ვიდრე ის საზოგადოება, რომელმაც ლიდერად აირჩია, პოლიტიკური სიმწიფის ხანაში შევიდოდა. სად არის რეალური პრობლემა და რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა პოლიტიკურიდან საზოგადოებრივ ფრონტზე გადასვლა, ამ თემაზე ექსპერტი ხათუნა ლაბაზიძე გვესაუბრება.

– ძალბატონი ხათუნა, როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის სურვილი იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკურად უმწიფარ ქვეყანაში ცივილიზებული მეთოდებით მართვა შეუძლებელია? თუ ასეა, ძნელია, არ დაეთანხმოს, მაგრამ ალბათ, ივანიშვილს უნდა სცოდნოდეს როგორი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სექტორის მქონე ქვეყნის ლიდერობა მოუწევდა...

– ფორმულირებას, რომ ივანიშვილი უმწიფარი პოლიტიკური სექტორისა და საზოგადოების წინაშე პირისპირ აღმოჩნდა, მისთვის ეს სრული მოულოდნელობა იყო და ამიტომ მიდის პოლიტიკური სივრცეიდან, არ ვეთანხმები.

ვიფიქრობ, როდესაც ის საუბრობს საზოგადოებრივი სექტორის პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაზე, უნდა ვიგულისხმოდეთ ის გამონაკლები, რომელიც საზოგადოებას შეიძლება ელოდეს უახლოეს წლებში, იმ მიზეზით, რომ მას მართლაც სჭირდება პასუხისმგებლობის გრძობის ამაღლება.

თუ ღრმად გავანალიზებთ, პრობლემა თავად საზოგადოებაში დევს, მისი პრობლემები მოდიოდა მისი არასწორი არჩევანიდან. ყველა ის ხელისუფლება, რომელიც მიიღო ქართველმა საზოგადოებამ, იყო მისი არჩევანი. ამ არჩევანს ბუნებრივია, უამრავი მიზეზი განაპირობებდა – სოციალური, პოლიტიკური.

ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველი არჩევანის მომზადების პროცესში საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, რომელიც ქართული რეალობის სამწიფარო ტრადიციად იქცა. ეს განაპირობებდა არასწორ არჩევანს და შემდეგ უკვე არ გვექონდა ამ არასწორად არჩეული ხელისუფლების კონტროლისა და მართვის ბერკეტები.

მთავარი ის არის, რომ ეს პრობლემები ნარსულში არ დარჩენილა. ეს არის დღევანდელი რეალობა – ქართველი საზოგადოების დღევანდელი და ხვალისდელი სახე. თუ საზოგადოების პასუხისმგებლობის ამაღლებაზე არავინ იზრუნა (და ვფიქრობ, ეს მაინც ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ამოცანაა), საზოგადოება კარგახანს დარჩება ასეთად – ერთი მხრივ, მანიპულაციებისთვის მუქისმუხტად ღია სივრცედ და მეორე მხრივ საზოგადოებად, რომელიც არჩევანის გაკეთებისას ნაკლებად გრძობს პასუხისმგებლობას საკუთარ არჩევანზე, ნაკლებად აკეთებს გააზრებულ არჩევანს და შემდეგ იღებს იმ რეალობას, რომელიც მივიღეთ ყველა წინა არჩევანების დროს.

თუ გვინდა, ხვალ და ზეგ რამე შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს სწორედ ეს, ანუ საზოგადოებაში უნდა განჩნდეს ის კრიტიკული მასა, რომელიც შეძლებს გააკეთოს გააზრებული არჩევანი და შემდეგ პასუხი აგოს მის მიერ გაკეთებულ არჩევანზე, პასუხი აგოს იმითი, რომ გააკონტროლოს მის მიერ არჩეული ხელისუფლება.

ამისათვის სერიოზული მექანიზმები ანამოქმედებული და ჩანადები საზოგადოებაში. მეორე მხრივ, იმავე საზოგადოებამ უნდა შეიმუშავოს ანგარიშვალდებულების მექანიზმები, იმ პოლიტიკურად აქტიური სუბიექტების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე. ვგულისხმობ თუნდაც იგივე ლიდერებს, რომელთა ნაწილიც საზოგადოებრივი აზრის სერიოზულ მანიპულირებას ეწეოდა.

ეს რომ მხოლოდ ქართულ სენად მივიღოთ, არ ვიქნებით მართალი, საინფორმაციო სივრცის საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის გამოყენებას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. მით უმეტეს, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ეს უფრო მარტივად მისაღწევია.

მეორე მხარეა, დაცვის რა მექანიზმები აქვს საზოგადოებას – სწორედ ეს განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკურ სიმწიფეს, ანუ რამდენად ღია და დაუცველი ამ ტიპის მანიპულირებისთვის, ან რამდენად დაცულია და რამდენად შეუძლია განასხვავოს ვირტუალური რეალობა, რომელსაც მას სთავაზობენ, ნამდვილი რეალობისგან.

დღემდე არც ერთ ხელისუფლებას ამ მიმართულებით საზოგადოების განვითარებაზე არ უზრუნია, რადგან ეს არავის არ აწყობდა. თუ ეს არ შეეცვალთ, ნავალი იგივე რჩება. ამ თვალსაზრისით ივანიშვილი მართალია, როდესაც მთავარ საფრთხეს საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების, იგივე საზოგადოების მოუწიფებლობაში ხედავს.

– ანუ დღეს რა რეალობის წინაშე ვართ, მთავარი პრობლემა საზოგადოების უმწიფრობაა?

– დღევანდელი სიტუაცია ძალიან მაგონებს გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულისა და 2000-იანი წლების დასაწყისის საქართველოს. თითქოს, დეჟავუ ხდება, იმდენად ბევრი პარალელის გავლება შეიძლება.

დღეს მოხდა საოცარი რამ – პოლიტიკური სექტორი, სადაც ბოლო 9 წლის განმავლობაში კონკურენციისთვის ადგილი არ რჩებოდა, აბსოლუტურად გაიხსნა, თანაბარი პირობები შექმნილი პოლიტიკური სუბიექტების განვითარებისთვის, მაგრამ ამ არაკონკურენტულმა გარემომ უკვე არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა.

რეალურად თუ შევხედავთ, მთელი ეს სექტორი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფონის მიმცემია, სამომავლო პერსპექტივაში არის ერთი პოლიტიკური ძალის საკადრო რესურსი.

საუბარია იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა სახემ, მათ შორის პოლიტიკურად ანგაჟირებულმა და ისეთი ნულივანი რეიტინგის მქონეებმა, როგორც იყო იგივე შამკინი, რომელმაც დღეს ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, ბევრმა გაუსწრებლად სახემაც, მაღალი კვალიფიკაციის მქონე და მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე ნამუშევარმა, ყველამ ერთად არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა.

ნემ და მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე ნამუშევარმა, ყველამ ერთად არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა.

მათი ინტელექტის დონე ძალიან მაღალია იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიონ, მით უმეტეს, თუ არაორგანიზებულია ეს კონკურენცია. არასამთავრობო ორგანიზაციების მეორე ნაკადი არის ის, ვინც თავისი სიწმით, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაზავნილი რაპორტებით, ფაქტობრივად, „ათეორებდა“ „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობას. ამასთან, ისინი საკმაოდ წარმომადგენლობითი და პოპულარული ენჯელოები არიან. არის არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სექტორიც, საკმაოდ მსუყვე ბიოგრაფიის მქონე, რომელიც ცდილობდა ობიექტურობის შენარჩუნებას, მაგრამ ახლა მათზე არ ვისაუბრებ.

დღევანდელი ძირითადი სექტორი ამ არასამთავრობო სექტორისა, ძირითადად, ამ ორი მიმართულებით არის წარმოდგენილი – ყოფილი ნაციონალური და წარსულში მათი საქმიანობის ირიბად მხარდაჭერნი (რაც შესაძლოა, საზოგადოებისთვის აშკარად თვალშისაცემი არ იყო, მაგრამ ნაცმოდრობის იდეურ მხარდაჭერად გვევლინებოდნენ).

ხვალ თუ „ნაციონალურად“ სახე და სახელი იცვალა, სწორედ ამ ტრანსფორმირებული „ნაციონალური“ საკადრო რესურსია ამ სექტორში. მათთან ერთად, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ზოგიერ-

დემოკრატიული ქაოსი

თი პოლიტიკური პარტიისაც, რადგან იდეურად ესენი ერთი ხედვის მქონე პოლიტიკური აქტორები არიან.

სხვა, ალტერნატიული მიმართულებების და ხედვის მქონე ენჯელოები არ ჩანან. დააკვირდით, მათი კამათი და მსჯელობა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ჩვენ არ გვიხილავს – ეს არის ერთიანი სექტორი, ერთი იდეოლოგიით და ერთი ხედვით. ეს უკონკურენციობა გამოვლინდა სწორედ ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგინისასაც – ანუ ალტერნატიული სამოქალაქო სექტორი, რომელიც ალტერნატიულ კანდიდატურას წარუდგენდა პრეზიდენტს, ფაქტობრივად, არ არსებობს. მსგავსი ფაქტები იძლევა იმისი მტკიცების საფუძველს, რომ ამ სექტორში კონკურენცია არ არსებობს.

თუ გაიხსენებთ შევარდნაძის ეპოქის მინურულს, აშკარაა, რომ წლების მანძილზე ხელისუფლების ცვლილება შეამზადა სწორედ არასამთავრობო სექტორმა, რომელიც მაშინ სულ რამდენიმე მსხვილი ფიგურანტი იყო წარმოდგენილი – ტონის მიმცემები იყვნენ „თავისუფლების ინსტიტუტი“, „მინის მესაკუთრეთა ასოციაცია“ ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, მათთან ერთად ამ კურსს, თუმცა, შედარებით ობიექტურად მიჰყვებოდა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ამ ყველაფრის საინფორმაციო უზრუნველყოფას ეწეოდა „რუსთაი 2“, ანუ შევარდნაძის ხელისუფლების საფუძველების მორყევა სწორედ არასამთავრობო სექტორის დამსახურებაა.

მაშინ, როდესაც ეს არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურობდნენ, ყვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყვნენ და შემდეგ უკვე მომზადებულ, მომწიფებულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ მოვლენათა ეპიცენტრში.

ზუსტად ასეთივე სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეთ დღეს – ეს არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნიან საკადრო რესურსს მომავალი ცვლილებებისთვის და ალტერნატივა ისევე არ არსებობს. საუბარი არ არის იმაზე, რომ ალტერნატივა ვიღაცამ ხელოვნურად უნდა შექმნას. ეს არის პროცესი, როდესაც ყველა გაშვებული თავისუფალ ცურვაში და ვინც უკეთეს უნარებს გამოავლენს, მას ექნება მომავალში ხელისუფლებაში მოსვლის რეალური პრეტენზია და შესაბამისი პოტენციალიც.

ამის უნდა აღინიშნოს, რომ ეს კარგად ორგანიზებული ჯგუფია, კარგად ორგანიზებული ფინანსებით და თუ არ შეიქმნა პირობები ალტერნატივების განვითარებისთვის, შესაძლოა, ეს ალტერნატივები არ და ვერ განჩნდეს.

დამერწმუნეთ, ქვეყანაში ნამდვილად არსებობს არანაკლები ინტელექტუალური რესურსი, იგივე ახალგაზრდებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო და ბიზნესსტრუქტურებში, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით გამოირჩევიან, მაგრამ მათი სამოქალაქო აქტივაცია არ ხდება.

სწორედ ამიტომ ვამბობ, იგივე რჩება რომ არ ნავიღეთ, ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლებამ ეგებ ამ პროცესს დაუშდოს სათავე. იგივე სახეების, ტექნოლოგიების და მანიპულაციების ტყვეობისგან რომ გათავისუფლდეს ეს საზოგადოება.

უნდა შეიქმნას ნიადაგი იმისათვის, რომ სწორედ ამ ადამიანებს, რომლებსაც გაცილებით მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, თუნდაც იმის გამო, რომ პოლიტიკურ მანიპულაციებში არ დაუკარგავთ დრო, სხვა პერსპექტივები გაუჩნდეთ. მათ შემოღობვებს სამოქალაქო სექტორში, მათ გააქტიურებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, თუ გვინდა, რეალური ცვლილებები განვხორციელოთ სამოქალაქო თუ პოლიტიკური სექტორის განახლების თვალსაზრისით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს წლების განმავლობაში მივალოთ კონდიციამდე, როდესაც ერთსა და იმავე წრეზე ნავალი – დღეს არც ერთ სხვა პოლიტიკურ ძალას არანაირი საკადრო რესურსი არ გააჩნია.

– ეს არის უმწიფრობის განვითარება, მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივა არა-

ნაკლებ მნიშვნელოვანია, რა ხდება უახლოეს მომავალში, რა პოლიტიკური ველი გვჩნდება ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლების შემთხვევაში. შეძლებენ თუ არა პოლიტიკურად აქტიური ძალები ქვეყნის მართვას, რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეთ...

– დღეს ის რეალობა გვაქვს, როდესაც ხელისუფლებაში თანაბარი პოლიტიკური ძალის პარტიები არიან წარმოდგენილი. ფაქტობრივად, კოალიციური მთავრობა გვაქვს. სტაბილურობის გარანტიასაც სწორედ ეს იძლევა – არ გვაქვს ერთი მონსტრი პარტია, რომელიც საკუთარი თავის გარშემო მოიკრება პოლიტიკურ სიტუაციას. უნდათ თუ არა, იმისათვის, რომ სახელისუფლებო სექტორში შეინარჩუნონ, ამ პატარა პარტიებს მოუწევთ თანამშრომლობა.

არ ვამბობ, რომ ეს დარჩება აუცილებლად დღევანდელი ფორმატით, შესაძლოა, შეიქმნას სრულიად სხვაგვარი ბლოკები და კოალიციები, რასაც მოჰყვება გადაინაცვლები ხელისუფლებაში, რამაც შეესაძლოა, გარკვეული საზოგადოებრივი მლევარებებიც კი გამოიწვიოს, მაგრამ განსაკუთრებულ რისკებს ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით ვერ ვხედავ, თუ გამოვირცხავთ მთავარ რისკს რუსეთიდან.

კიდევ ერთი მომენტი მეჩვენება რისკფაქტორად – ეს შეიძლება იყოს მაღალი პროცენტით მეორე ადგილზე წინო ბურჯანაძის გასვლა.

– რას გულისხმობთ?

– თუკი ბურჯანაძემ დიდი პროცენტით მოიგო მეორე ადგილი, ასეთ შემთხვევაში მის გარშემო მოხდება ბევრი ინტერესთა ჯგუფის გაერთიანება, რაც მას საშუალებას მისცემს, ამტკიცოს როგორც საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა.

მაგრამ მთავარი, რისთვისაც უნდა ემზადებოდეს ხელისუფლება და მასში შემავალი ცალკეული ჯგუფები, ასევე ოპოზიციაც და ვფიქრობ, ემზადებიან კიდევ, ვინც სხვებთან შედარებით ცოტა უფრო შორსმჭვრეტელია, ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

როდესაც დეჟავუ ვსაუბრობდი, იმასაც ვგულისხმობდი, რომ ახლოვდება თბილისის მერის არჩევნები და ისევე, როგორც თავის დროზე მნიშვნელოვანი იყო სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარედ გასვლა, ამ შემთხვევაშიც შეიძლება გადაწყვიტოს აღმოჩნდეს მერის ფიგურა უახლოესი წლების პოლიტიკური გადასაწყვეტებისთვის.

საპრეზიდენტო არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანია მიმართვა, ვინ გახდება თბილისის მერი, რადგან ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს შეზღუდული უფლებები აქვს, ხოლო თბილისის მერს საკმაოდ მაღალი უფლებამოსილებები აქვს თუნდაც იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მიზნით ისევე ოპოზიციის მანტია მოიკრას და ამით გადადგას უკვე სერიოზული ნაბიჯი უკვე მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოსაგებად, იქცეს მომზივკველ ლიდერად.

ამ თვალსაზრისით, მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეორე ადგილზე გასულ საპრეზიდენტო კანდიდატსაც. ყველაზე დიდი ამბიციები შეიძლება სწორედ მას გაუჩნდეს ამ ადგილზე საბრძოლველად. გარდა ამისა, მოხდება, ალბათ, სხვა გადაინაცვლებებიც იგივე კოალიციის შიგნით.

– მათ დაშლას გულისხმობთ?

– მთავარი ფაქტორი, რაც კოალიციის შიგნით სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძველი შეიძლება გახდეს, არის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, იმით, რომ იდეურად „რესპუბლიკური პარტია“ გაცილებით ახლოს დგას იგივე იმ არასამთავრობო სექტორთან, რომელიც ვსაუბრობდით. თავისი პრეზიდენტული უფროსი და ლიბერალური შეხედულებებით „ნაციონალური მოძრაობის“ არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლებულ სახეებთან, უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე იმ კოალიციის წევრებთან, რომელთა ერთადეც დღეს იმყოფებიან.

იმისათვის, რომ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ შეძლოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის შენარჩუნება, მას აწყობს სწორედ დღევანდელი სტატუს-კვოს შენარჩუნება.

აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი ფაქტორი შეიძლება მოქმედებდეს იმაზე, დაიშლება კოალიცია თუ შეძლებს ერთიანობის შენარჩუნებას. თუმცა, არის ის ვერსიაც, რომ კოალიციის დაშლის შემთხვევაში, ყველაზე დიდი ფრაქცია შეიძლება იყოს იგივე „ნაციონალობა“.

ამ გადასახედებიდან ბევრ ვერსიაზე შეიძლება საუბარი, თუმცა, ვფიქრობ, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება და მეორე ადგილზე გასული ფიგურა არ გამოიკვეთება, ყველა ამ ვერსიის არსებობას ნაკლები საფუძველი აქვს.

– ნაციონალის მფორე ადგილი რა საფრთხეს შეიცავს?

– ამ კითხვას ნაწილობრივ უკვე ვუპასუხებ. დღეს თუკი ვინმეს შეიძლება საკადრო რესურსის იმედი ჰქონდეს, ეს არის სწორედ სახელმწიფო „ნაციონალური მოძრაობა“ და დარწმუნებული ვარ, დღეს არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლებული ნაციონალის არსებობა შეიძლება ხელისუფლებაში დაბრუნებას ნაციონალის ეგვიდით.

მაგრამ იდეა და სულისკვეთება იქნება იგივე, არ ვგულისხმობ მანინც და მაინც ავტორიტარულ მეთოდებს, ვგულისხმობ მკვეთრად პროდასავლურ და მკვეთრად ლიბერალურ-ლიბერტიანული ღირებულებების ერთგულებას.

თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი მეორე ადგილზე გავა, რისი ალბათობაც მინიმალურია, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ისინი დროში მოიგებენ და გაცილებით მალე შეძლებენ რეინკარნაციას.

თუმცა, იგივე წინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლაც შეიძლება გახდეს ამ პროდასავლური ლიბერალური ძალების სერიოზული მუხტი, რადგან საერთო საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანებაც არანაკლები სტიმულია, ვიდრე მეორე ადგილის მოპოვება. შეიძლება, მეტიც კი.

აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ – როგორ ემზადებიან ისინი ხელისუფლებაზე მტურებისთვის. ეს დღეს ასე თვალსაჩინოდ არ ჩანს, რადგან თვლიან, რომ დღეს ამისი დრო არ არის – შექმნილია ძალიან საინტერესო ორი ახალი საიტო, რომელიც აღწესებს ხელისუფლების დაპირებებს. ერთი „ქართული ოცნების“ დაპირებების შესრულებას აკონტროლებს, მეორე – საპარლამენტო დეპუტაციის სიმართლის და კომპეტენტურობის ხარისხს განსაზღვრავს. ამ ეტაპზე, შესაძლოა, ცოტა ძნელი წარმოსადგენია ამ საიტების მოქმედების ძალა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს არის ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც როცა ამოქმედდება, შედეგები იქნება საკმაოდ მძიმე. თუ მას სატელევიზიო ვერსიასაც მივაბენ, თუნდაც ხუთწუთიანს, უნდა ვიფიქროთ, რომ მძიმე კალიბრის არტილერია იქნება მიმართული ხელისუფლებისკენ.

სიტყვა ძველის გასაგონად

ბურჯანაძეს საყვედურობენ, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს უნდა გადამდგარიყო.

მეც მირჩევდნენ 2003 წლის ნოემბრის დღეებში გადადგომას. კაცმა რომ თქვას, ეს ადვილი იყო. ბევრად უფრო ადვილი, ვიდრე პოსტზე დარჩენა და ყველაფრის მიუხედავად, სიტუაციის ესკალაციის არდაშვება. იგივე ვითარება იყო 2007-ში. გადადგომაზე იოლი და მომგებიანი არაფერი იყო, მაგრამ უკვე გადამდგარი პრეზიდენტის პირობებში მისი მოვალეობის შემსრულებლის წასვლას რა მოჰყვებოდა, ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

სხვა საკითხია ისიც, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს არც მსხვერპლი იყო და არც ისეთი სისასტიკე, როგორც 2011 წლის 26 მაისს. ეს, ალბათ, ისეთივე „შემთხვევითობაა“, როგორც ის, რომ სააკაშვილმა ცხინვალში შეჭრა მხოლოდ 2008 წელს, ბურჯანაძის ხელი-სუფლებიდან წასვლის შემდგომ ახდინა. რაც მოჰყვა ამას, ყველას გვახსოვს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ვინც 7 ნოემბრის „გაპრავებს“ ბურჯანაძეს აბრალებს, ერთი ისიც გაიხსენოს, ვინ დაშალა მაშინ ხალხი და ვინ მიულოცა სააკაშვილს მეორედ გაპრავების შემდეგ? ზოგიერთი მათგანი დღეს „ქარ-

„ვის ანდობთ ძველს?“

თულ ოცნებაში“ ხომ არ არის? მათ რატომ არ თხოვენ პასუხს?

„ბურჯანაძემ პუტინს ხელი ჩამოართვა“, — აცხადებენ მეოცნებეები, რომელთა რიგებში ის პოლიტიკოსები არიან, ვისაც ჟიჟინოვსკი ხელი არ ჩამოართვა! ალბათ, ესეც შემთხვევითობაა. შემთხვევითობაა, ალბათ, ისიც, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ბურჯანაძის ორი კონკურენტი სწორედ მისი კადრია. დაბალი პოლიტიკური კულტურის ამბავია, თუ რაღაც სხვა, ალბათ, პრემიერმა იცის. ისევე, როგორც ერთ იგავში, ძნელად სავარაუდოა, რომ ბურჯანაძემ მათ ხეზე ასვლა ასწავლა. ძნელად სავარაუდოა, რადგან არც ერთს არ ეტყობა არიმეც სწავლის დიდი სურვილი.

რაც არის, ის არის. პლასტლინის მთავარ-სარდალი და დანა-ჩანგლით მომხდურის „შემუსვრელი“. რატომ გადადიან „ოცნების“ აქტივისტები ბურჯანაძესთან? რამდენიც უნდა იძახოს მავანმა, რომ ეს ტყუილია, თავად ხომ იცის

სიმართლე?

გადადიან იმიტომ, რომ „ოცნებამ“ წინასწარჩევნო დაპირებას უღალატა და თითქმის ერთი წელი კოპპიტაციურ სიამტკბილობაში გაატარა „ნაცმოსთან“.

არავის არ დაუბრუნდა წართმეული ქონება (ბანკი „ქართუს“ მეპატრონის გარდა). სოციალური ფონი არ შემსუბუქდა.

სასამართლო არასამართლიანია. სამუშაო არ არის.

შემოსავალი არ არის. ცხოვრება გაძვირდა.

რუსეთთან ურთიერთობა სიტყვის დონეზე გვარდება.

ტელეეთერებიდან ისეც „კმარაზიტები“ გვმოძღვრებენ.

კიდევ განვადრძოთ თუ „კმარა“? და ამ ყველაფერს მმართველი კოალიცია სიტყვა „სილალით“ უპირისპირდება!

თქვენი სლოგანის მომგონს მიეცეს ის „სილალი“, რასაც ქართველ ხალხს ჰპირდება!

თუ საქართველოში ლაღად ერთი და იგივე

ადამიანები იქნებიან, ოღონდ სხვადასხვა პარტიის ან კოალიციის სახელით, ამას ქართველი ხალხის სილაღად ვერ მონათლავთ, თავად ეს სიტყვა კი, ალბათ, იმან გაგახსენათ, რომ ერთობ გალაღებული ხართ და სხვისი ჭირი არაფრად გიღირთ.

ყველა წესით, ბურჯანაძის მიმართ შეუტივებული სწორედ მე უნდა ვიყო. თუნდაც 2003 წლის გამო. მაგრამ აქ მხოლოდ ორი გზაა: ან წარსულში დარჩენა, ან მომავლისკენ სვლა. დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში არც ერთი ლიდერი არ არის, რომელთანაც პრეტენზიები არ გექნება. თანაც, სერიოზული პრეტენზიები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბურჯანაძეს უკანასკნელმა ხუთმა წელიწადმა ბევრი რამ ასწავლა, დანარჩენებს — არაფერი.

არის საკითხები, რომლებშიც ჩემი და ბურჯანაძის აზრი არასოდეს დაემთხვევა, მაგრამ ეს საკითხები უმნიშვნელო იმასთან შედარებით, რასაც სამშობლო და მისი მომავალი ჰქვია.

გადახედეთ საპრეზიდენტო კანდიდატებს და გულზე ხელის დადებით თქვი: რომელიმეს, ბურჯანაძის გარდა, ქვეყანას ანდობდით?

არც მე. **ნანა დევიდარიანი**

ყოფილ მფლობელს კომპანიის წილი დაათმობინეს...

სწავლის უფლებების ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი წინა-საარჩევნო დაპირება, რისთვისაც მან საზოგადოების განსაკუთრებული მხარდაჭერა მოიპოვა, სამართლიანობის აღდგენა გახლდათ. რეზიგნაციის თაობაზე გამოცხადებულ, სხვადასხვა დროს, რამდენჯერმე აღნიშნა, რომ სამართლიანობის აღდგენის შესახებ ხელისუფლების დაპირება გარკვეულწილად შესრულებულია. მართალია, საზოგადოებაში შიშის სინდრომი მოიხსნა, შეწყდა ტერორი, მოსმენები და ა.შ. მაგრამ არსებობს რამდენიმე მიმართულება, სადაც საზოგადოება ჯერ კიდევ სამართლიანობის მოლოდინშია, მათ შორის, წართმეული თუ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ ღიად არის დარჩენილი და ამ მიმართულებით, თითქმის, არაფერი გამოსწორებულია.

ამ კუთხით, ზოგადად, რა პროცესებიც მიმდინარეობს, ამ ეტაპზე ყურადღებას არ შევანერგებთ და მკითხველს მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითზე მოვუხსნობთ, მაგრამ სხვა ბიზნესმენების ისტორიებსაც რომ გადავხედოთ, ალბათ, საერთოს ბევრს ვიპოვიოთ.

საუბარია „კავკასუს ონლაინის“ ქონებაზე. კომპანიის წილი თავის დროზე ყოფილ მფლობელს მამია სანადირაძეს დაათმობინეს და იმ პერიოდში არსებული კულუარული ინფორმაციის თანახმად, სააკაშვილის კარის ბიზნესმენებად წოდებულ შარანგიებთან დაახლოებულ პირებს გადაუფორმეს. ცნობილია, რომ დღეს ჰოლდინგის ოფიციალური მფლობელები ლევან ყარამანიშვილი და ზვირაძე მამია სანადირაძეა.

„ალბათ, უკვე ყველამ იცის, რომ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების მიერ ჩემს მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლის დანაშაული, ჩემი ქონების თაღლითობით, მუქარითა და ძალადობით მითვისება. გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში კოაბიტაციის თუ სხვა მიზნების გამო, საქმე ძალზე ნელი ტემპით მიდის. თუმცა, მჯერა, რომ დამნაშავეები პასუხს აუცილებლად აგებენ“, — აცხადებს მამია სანადირაძე.

სანდო წყაროზე დაყრდნობით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბოლო ერთი თვეა, კომპანია „კავკასუს ონლაინის“ აქტივების სხვა კომპანიის ბალანსზე გადატანა მიმდინარეობს. ამ ფაქტს „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი მამია სანადირაძეც ადასტურებს და აცხადებს, რომ მსგავსი სქემით „კავკასუს ონლაინის“ აქტივების მითვისების შესახებ ინფორმაციას თავადაც ფლობს.

„რაკი ძიების პროცესი ნელა მიმდინარეობს, როგორც ჩანს, დამნაშავეებმა დრო ისელებს და ჩემი ქონების ძარცვა, კომპანიიდან აქტივების გატანა, გადაფორმება-გადმოფორმება, ურავი ქონების გაყიდვა ხდება, ალბათ, იმიტომ, რომ, როდესაც კომპანიის დაბრუნება მოუწევთ, კავკასუსის აქტივები უკვე დიდი ხნის გატანილი, გადაფორმებული და გაყიდული იქნება“, — აცხადებს მამია სანადირაძე.

მისივე განცხადებით, ეს მეთოდი მისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, რადგან უკვე მოხდა „კავკასუსის“ შემადგენლობაში არსებული მედიასაშუალებების, მათ შორის press.ge-ს და ITV.ge-ს სხვა კომპანიებისთვის გადაფორმება და ახლა, როგორც ჩანს, ყოფილი „რკინიგზის ტელეკომის“ ჰოლდინგიდან გაყვანას ცდილობენ სხვადასხვა მანიპულაციებით.

For.ge-ს წყაროს ცნობით, ძვირადღირებული აპარატურა, რომელიც თბილისის ქსელს საერთაშორისო ქსელთან აერთებს, „რკინიგზის ტელეკომის“ ბალანსზე გადააქვთ. სპეციალისტების განმარტებით, ეს არის ძირითადი და მავაკშირებული სადგური, რომელიც ფოთში შემომავალ საერთაშორისო კაბელს აერთებს თბილისთან. ამ აქტივის სხვა კომპანიის ბალანსზე გადატანა კი ნიშნავს, რომ ფაქტობრივად, „კავკასუსი“ რჩება მხოლოდ თბილისის ქსელის ამარა, რადგან მისი ქონების უმნიშვნელო ნაწილი სეგმენტი სხვა კომპანიის მფლობელობაში აღმოჩნდება.

ჩვენი წყაროს ცნობით, სამი წლის წინ აპარატურის შესაქმნად სესხი კომპანია „კავკასუს ონლაინის“ სახელით აიღეს და სამი წლის განმავლობაშიც ქონება სწორედ „კავკასუსის“ ბალანსზე იმყოფებოდა.

ეს ნიშნავს, რომ თუკი დღევანდელ მეპატრონეებს, თავის დროზე, ძველი მესაკუთრისათვის წართმეული ქონების უკან დაბრუნება მოუწევთ, ახალ მფლობელს, ფაქტობრივად, მხოლოდ კომპანიის სახელი რჩება, ხოლო კომპანიის ფულით შეძენილი აქტივების მფლობელი „რკინიგზის ტელეკომი“ იქნება, კომპანია, რომლის ბალანსზეც კავკასუსის აქტივების გადაფორმება მიმდინარეობს. სპეციალისტების განმარტებით, ამ სეგმენტის გარეშე თბილისში ინტერნეტი არ იმუშავებს, საუბარია რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების აპარატურაზე. გარდა ამისა, ფოთი-თბილისის დამაკავშირებელი ორი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიც, საიდანაც ერთი „რკინიგზის ტელეკომს“, მეორე კი „დელტაკომს“ ეკუთვნოდა, ჩვენი წყაროს ცნობით, უკვე „რკინიგზის ტელეკომის“ ბალანსზეა გადასული.

„კავკასუსის“ აქტივებს მიუბას კარის ბიზნესმენები იფორმებენ?!



CAUCASUS ONLINE

გამოდის, რომც დაბრუნოს კიდევ ყოფილმა მფლობელმა კომპანია, თუ „რკინიგზის ტელეკომმა“ არ მისცა ნებართვა, „კავკასუსი“ მომხმარებლის ინტერნეტით მომსახურებას ვეღარ შეძლებს.

საუბარია ევროპულ ინტერნეტზე, რომელიც შავი ზღვის მეშვეობით ბულგარეთიდან საქართველოს გავლით კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს უზრუნველყოფს. როგორც სპეციალისტები განმარტებენ, ანალოგიური პროექტის ხელახლა განხორციელებას რამდენიმე წელი და უამრავი თანხა დასჭირდება. მანამდე კი მომხმარებლებს ან „კავკასუსთან“ ხელშეკრულებას გაწყვეტა ან დამატებითი თანხების გადახდა მოუწევთ იმისათვის, რომ მაღალსიხშირიანი ინტერნეტით სარგებლობის საშუალება ჰქონდეთ. საუბარია არა მხოლოდ თბილისის, არამედ სომხეთის, აზერბაიჯანისა და ავღანეთის მომხმარებლებზე.

მამია სანადირაძე თვლის, რომ ეს ყველაფერი საქართველოში დამკვიდრებული დაუსჯელობის სინდრომითაა გამოწვეული და ეჭვი აქვს, „საკაშვილის ეპოქის მძარცველები“ ახალგაამომცხვარი ჩინოვნიკების მოქრთამვას, წილებში ჩასმას და ამით, სასჯელისთვის თავის არიდებას ხომ არ ცდილობენ. თუმცა, მამია სანადირაძე, დამნაშავეთა ორგანიზებულ ბანდებს ურჩევს, კიდევ უფრო ნუ დაიძიმებენ დანაშაულს, რადგან იმედი აქვს, რომ კანონის წინაშე ყველა აუცილებლად აგებს პასუხს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „რკინიგზის ტელეკომს“

საერთაშორისო ტრაფიკის განხორციელების უფლება აქვს, რაც ნიშნავს, რომ „კავკასუსისთვის“ კლიენტების წართმევა მისთვის დიდი პრობლემა არ იქნება.

ლოჯისტიკის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ბესარიონ სანადირაძე აცხადებს, რომ მსგავს ინფორმაციას თავადაც ფლობს, თუმცა ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, აქტივების გადაფორმება მიმდინარეობდეს, მაშინ, როდესაც საქმე ძიებაშია და პროკურატურა სწავლობს.

„თუ კავკასუსის მნიშვნელოვანი აქტივების და სხვა კომპანიის ძარცვაა. არ ვიცი დაბრუნებას აპირებენ თუ არა, მაგრამ ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ თუ დააბრუნებენ, მხოლოდ — „გამოშვებულ“ კომპანიას, „ცარიელ ჩონჩხს“, — აცხადებს ბესარიონ სანადირაძე.

თუ გამოძიება კომპეტენტურად და ობიექტურად ჩატარდება, ალბათ, ბევრ საინტერესო ფაქტს აჩვენებთ ფარდა, მაგალითად, მამია სანადირაძე ამბობს, რომ ის ფლობს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც „კავკასუსის“ თანხებით თავის დროზე სხვადასხვა ბიზნესები ფინანსდებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ბიზნესშიც, სავარაუდოდ, „კავკასუსის“ ფული ჩაიდო, თუმცა, უმჯობესია, ამ ყველაფერზე თავად გამოძიებამ ისაუბროს.

გამოძიებისას კი, ალბათ, ყურადღება იმასაც უნდა დაეთმოს, როგორ გაიყიდა 14 მილიონ დოლარად გაყიდული „რკინიგზის ტელეკომი“ ხელახლა, პირდაპირი მიყიდვის წესით 3 მილიონად.

2009 წელს შპს „რკინიგზის ტელეკომის“ 100% წილის მფლობელი ჰოლანდიური „ლინქს ტელეკომი“ გახდა, რომელმაც დახურულ აუქციონზე ობიექტი 13 344 800 აშშ დოლარად შეიძინა. ხელშეკრულება მხარეებს შორის 2010 წლის პირველ კვარტალში უნდა გაფორმებულიყო, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, მოულოდნელად გაიშკვრა, რომ შპს „რკინიგზის ტელეკომის“ 100% წილის მფლობელი კომპანია „ნოვასტარ კომერს ლიმიტიდი“ (NOVASTAR COMMERCE LTD) გახდა.

აუქციონში „ლინქს ტელეკომთან“ ერთად, „ახალი ქსელეტი“ მონაწილეობდა. პირველ ეტაპზე „რკინიგზის ტელეკომის“ შექმნის მსურველთა შორის „კავკასუს ონლაინიც“ იყო. თუმცა, „გაერთიანებულ ტელეკომთან“ დაპირისპირების და ჯე-ლინქის ქსელის მასობრივი ჩაჭრის შემდეგ კომპანიისთვის მიყენებული ფინანსური ზარალის გამო „კავკასუს ონლაინის“ ინვესტორმა აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

„ლინქს ტელეკომი“, რომელთანაც გარიგება ჩაიშალა, ჰოლანდიური კომპანიაა და ის რუსეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, ბელარუსის, კავკასიის, უკრაინის, უნგრეთის, პოლონეთის, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე საქმიანობს. „ლინქს ტელეკომი“ რუსეთის ბაზარზე მოქმედ კომპანიებს - SVЯЗЬ ВСД-ს და ЛИНКС ТЕЛЕКОММУНИКАЦИОНН СНГ-ს აერთიანებს.

თა უპირატესობა გააჩნია „ნოვასტარ კომერს ლიმიტიდს“ ეს ყველაზე უკეთ, ალბათ, ქვეყნის პრეზიდენტს მოეხსენება. მკითხველისთვის მარტივად რომ ავსენათ, როგორც კულუარებში ამბობენ, „რკინიგზის ტელეკომი“ ლევან ყარამანიშვილმა და ზვირაძე მამიამ შეიძინეს და სამი წლის წინათ „კავკასუსში“ აქტივის სახით შეიტანეს. დღეს კი საკუთარ აქტივთან ერთად „კავკასუსის“ ქონების მითვისებაც გადანაწილეს.

შეგახსენებთ, რომ დღეისათვის საქართველოს მასშტაბით „კავკასუს ონლაინი“ 100 000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. კომპანიის კუთვნილებაშია ვარნა-ფოთის დამაკავშირებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომელიც შავი ზღვის ფსკერზეა განთავსებული და ქართველი მომხმარებლისათვის მაღალხარისხიანი ოპტიკური ინტერნეტის პირდაპირ ევროპიდან მონოდებას უზრუნველყოფს.

ბარიამ თოდაძე

ერთხელ დაფიქრებაც საქმარისია



პოლიტიკოსთა სინდრომი

დიდი ბრიტანეთის ყოფილიმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ იუენმა გამოსცა წიგნი სათაურით „ავადმყოფობის ისტორია“ (David Owen „История болезни недуги мировых лидеров последнего столетия 2011 2.) გაანალიზა რა თავისი 50-წლიანი მდიდარი პოლიტიკური გამოცდილება, ავტორმა აღმოაჩინა ზოგიერთი ქვეყნის პირველ პირთათვის დამახასიათებელი საერთო დაავადების სინდრომი, რომელსაც გიბრის-სინდრომი უწოდებენ (ექს-მინისტრი განათლებით ექიმია). ამ ტერმინის ქვეშ ითვლება გულსისხლძარღვთა და სხვა სისტემების მსხვერპლი ალმოხდენი, მაგ.: ჰიპერტენზია, ტიპიური, ბუში უმცროსი და სხვ. მსჯელობს რა კონკრეტულ მოვლენებსა და პიროვნებებს, იგი სვამს რიტორიკულ კითხვას, რა ვქნათ? და თვითონვე აქვე უპასუხებს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ნებისმიერი პირის ხელმძღვანელ პოსტზე არჩევამდე (ან დანიშნვამდე) მოვითხოვოთ მათი სამედიცინო შემოწმება, რათა სამედიცინო პერსონალის მიერ ჯერ კიდევ ადრეულ სტადიებზე მოხდეს ამ დაავადების კლინიკური სიმპტომების გამოვლენა.

ბევრს ამბობენ, ართავს, აშენებს... ჩვენთან კი ყველას დედა აზრი ის არის, რომ მე ვარ და სხვა არავინო. ყოველი ახალი თაობა ყოველად უაზრო, უზრდელო, უტრადიციო, უცრად სპობს და ლენაჟს წინა თაობის ნაშთებს. და იქვე განაგრძობს, რომ „ჩვენთან ძალიან ხშირად ბურთი და მოედანი რჩებათ ვითომ პოლიტიკოსებს, რომლებსაც „ეროვნული საქმეებისა და იდეალების რეკოლუციის“ საბაბით სასაკლავოში მიჰყავთ ადამიანები... მოდიოდნენ ჩვენში მეტაურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსულნი, რა რჯულის, როგორი წარსული ჰქონდათ. „ამბობდა და ვინცერთი, - და იახლებდა და ყველა მას მიჰყვებოდა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვათ მათგან ან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე“.

ანალიზებდა რა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკურ მდგომარეობას, ახლად მოსულ ხელისუფლებას ურჩევდა, რომ „როცა არ გვაბაღია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი... სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვიდრე გასაზიდი, მონობას ვერ ავცილებდით“. იქნებ დღეს მაინც გავიტყვიანო, ჩვენი დიდი წინაპრისა და თანამედროვე ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე დიპლომატის რჩევები და უფრო გონივრულად და გააზრებულად ვიმოქმედოთ. თურმე ერთხელ აღმოსავლეთის დიდ ფილოსოფოს კონფუციუსის თავისი მონაფე შეეკითხა, მოძღვარო, მართალია თუ არა გამოთქმა, ასევე გაზომვა და ერთხელ გასჭერი.

— არა, ერთხელ დაფიქრებაც საკმარისიაო, — იყო პასუხი. ჩვენი ვაიპოლიტიკოსების 20-წლიანმა მოღვაწეობამ უფსკარული პირას მიგვიყვანა და ხელში შეგვატოვა ძუძუებდაგლეჯილი დედასამშობლო და ბოგანობად, დევნილებად და მათხოვრებად ქვეული დამშეული ხალხი. ვინ იკისრა ყოველივე ამაზე პასუხისმგებლობა?! არავინ! როგორც სიკეთის, ასევე ბოროტების ქმნას მხარდაჭერა სჭირდება და საზოგადოება ყოველთვის ამის თანაზიარი მათი ნევრების მოქმედებებისა. ასე რომ, ჩვენ ყველას მეტ-ნაკლებად სამართლებრივად თუ არა, ზნეობრივად მაინც მოგვეკითხება პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე. სინდისის ქენჯნა გონიერების აქტიაო, ამოხდა ემანუილ კანტი. მეორეს მხრივ მხოლოდ სამართალი, კანონის უზენაესობა არის სახელმწიფოს არსებობის გარანტი. რადგან ვინც ბოროტებას იწყნარებს, ის სიკეთეს ვნებს (ანუ მგლის თავისუფლება ბეკეკას სიკვდილს მოასწავებს).

მედა თავიფილი

ფლაგმანი

წლების მანძილზე, შეიძლება ითქვას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, ეროვნული ეკონომიკის იმ სფეროთაგან, რომლებიც სხვებზე მეტად, გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სტაბილურად ვითარდებოდა, პირველობა სამშენებლო და საბანკო სექტორებს ეკუთვნის.

ბოლო ხანს მშენებლობის დარგში დიდი შეფერხებები, დარგის განვითარების ტემპმა საგრძობლად იკლო, რაც, პირველ ყოვლისა, სამოქალაქო მშენებლობის სექტორში რიგი დიდი კომპანიის წინაშე (კერძოდ, „ცენტრ-პოინტი“, შემდეგ „დექუსში“, სხვებში) წამოჭრილი პრობლემებითაა გამოწვეული. რაც შეეხება ახალ დიდ პროექტებს, ვთქვათ, ლისის ტბისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე „დირსის“ თანამედროვე ტიპის უბნების კომპლექსურ მშენებლობებს, მათი რეალიზება ჯერჯერობით არ დაწყებულა. სამშენებლო დარგის განვითარების ტემპის შენელების მიზეზად ასევე შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტის (კერძოდ, მცხეთაში ხიდის) განხორციელებაზე უარის თქმა, რაც იუნესკოს დასკვნის საფუძველზე მოხდა, რომლის თანახმად, მისი ფრთაშესხმის შემთხვევაში ქალაქ-მუზეუმის სტატუსს საფრთხე შეექმნებოდა. ასევე აღარ აიგება დედაქალაქში ხიდი მარშალ გელოვანის პროსპექტიდან დიდუბეში სამტრედიის ქუჩამდე, რომელსაც, მისი საპროექტო სიძვირის გამო (80 მილიონი ლარი). ენამოსწრებულად „ფუფუნების ხიდი“ შეარქვეს, ბათუმში კი ევრეთ ნოდებულ „ოქროს ქვისის“ პლაუს აღარ გააკეთებენ. აგრეთვე გადაიდო ანდა მნიშვნელოვანი კორექტირების პროცესშია არაერთი სხვა პროექტი, მაგალითად, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობები. მოკლე დიდი მშენებლობების თვალსაზრისით, თავი იჩინა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის პროექტებისადმი ახლებურმა მიდგომამ. ეს, უწინაშესადაა, იმაში გამოიხატება, რომ გადაინება მათი მეთოდოლოგიური ნაწილის ინსტრუქციები და რეგულაციები, ვინაიდან ეს უკანასკნელი ან მორალურად მოქვედებული იყო, ანდა სულაც არ არსებობდა (?), საგრძობლად გამკაცრდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის კონტროლი, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, გაიზარდა საგარანტიო ვადები.



რაც შეეხება საბანკო სექტორს, იგი წლების მანძილზე სტაბილურად ვითარდება და, საქესპერტო შეფასებებით, მართვის თვალსაზრისით ევროპული სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის ყველაზე გამორჩეული სფეროა. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ მასში გამუდმებით წარმატებით იწერება ახალი, ინტეგრირებული საბანკო პროდუქტები და თანამედროვე ტექნოლოგიები. ამას ციფრებიც მოწმობს: ეროვნული ბანკის ბოლო მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში საბანკო სექტორის წმინდა მოგება დაანგარიშებით 156 მილიონი ლარი შეადგინა (შეადარებისთვის ვიტყვი, რომ შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებელი დაახლოებით 89 მილიონი ლარის ტოლი იყო).

საქართველოში საბანკო სექტორის წარმატებას არავითარი სოლიდური საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო და გავლენიანი ბანკის წარმომადგენელი აღიარებს, რაც ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაშიც სათანადო გამოხატვას პოულობს. ეს, კერძოდ, ცოტა ხნის წინათ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის ვიზიტმა დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, რომ ევრობანკი ქვეყანაში დამატებით 200 მილიონი ლარის ინვესტირებას გეგმავს და ახლად შექმნილი საპარტნიორო ფონდის სამომავლო საქმიანობის გეგმების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა.

ამასთან, მეტად ავტორიტეტულმა საერთაშორისო სააგენტო „ფიტჩმა“ (FITCH) ბოლო შეფასებით თან ქართულ კომერციულ ბანკს გრძელვადიანი რეიტინგი დაუდასტურა და სტაბილური განვითარების პროგნოზი გამოთქვა. ფინანსური ბაზრების თემატიკის პროფილის წამყვანმა ყურნალმა „ევრომანიმ“ (Euromoney), რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს დაახლოებით ას ქვეყანაში წამყვან ბანკებს ავლენს, ნომინაციაში „2013 წლის საუკეთესო ბანკი საქართველოში“ საქართველოს ბანკი დააჯილდოვა, ხოლო ურნალმა „გლობალ ფაინანსმა“ (Global Finance) წლეულს მსოფლიოს საუკეთესო ინტერნეტ-ბანკებს შორის, ისევე როგორც შარშან, კვლავ თბილისი ბანკი დაასახელა.

ალის-ჩალიანი

წყალტუბოში უკანონოდ მოჭრილი ხეები აღმოაჩინეს

ზარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ ცენტრალური სამსახურის სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებმა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზარათში, ტყეების მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის სატყეო უბანში უკანონოდ მოჭრილი 12 ძირი წაბლისა და 5 ძირი რცხილის ჯიშის ხე-ტყე აღმოაჩინეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მასალები

კის (EBRD) პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის ვიზიტმა დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, რომ ევრობანკი ქვეყანაში დამატებით 200 მილიონი ლარის ინვესტირებას გეგმავს და ახლად შექმნილი საპარტნიორო ფონდის სამომავლო საქმიანობის გეგმების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა.

ამასთან, მეტად ავტორიტეტულმა საერთაშორისო სააგენტო „ფიტჩმა“ (FITCH) ბოლო შეფასებით თან ქართულ კომერციულ ბანკს გრძელვადიანი რეიტინგი დაუდასტურა და სტაბილური განვითარების პროგნოზი გამოთქვა. ფინანსური ბაზრების თემატიკის პროფილის წამყვანმა ყურნალმა „ევრომანიმ“ (Euromoney), რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს დაახლოებით ას ქვეყანაში წამყვან ბანკებს ავლენს, ნომინაციაში „2013 წლის საუკეთესო ბანკი საქართველოში“ საქართველოს ბანკი დააჯილდოვა, ხოლო ურნალმა „გლობალ ფაინანსმა“ (Global Finance) წლეულს მსოფლიოს საუკეთესო ინტერნეტ-ბანკებს შორის, ისევე როგორც შარშან, კვლავ თბილისი ბანკი დაასახელა.

ალსანიშნავია, რომ ქართულმა ბანკმა ერთაშუად წამომინაციაში გაიმარჯვა: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით როგორც „საუკეთესო ინტერნეტ-ბანკი“ და „საუკეთესო ინტერნეტ-ბანკი“, „საუკეთესო ნალური გადასახადების საუკეთესო სისტემის მქონე ინტერნეტ-ბანკი“, ხოლო საქართველოს მასშტაბით — „საუკეთესო სამომხმარებლო ინტერნეტ-ბანკი“. საგულისხმოა, რომ 2013 წელს ეს ამ ბანკის მეოთხე საერთაშორისო ჯილდოა.

სოლიდური საბანკო გამოცემის „ბანკირს“ (The Banker) ავტორთა აზრით, მსოფლიოს ათასი უმსხვილესი ბანკის რეიტინგში, საბანკო აქტივების ზრდის შარამეტრით, საქართველოს საბანკო სისტემა მეცხრე ადგილზეა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კომბანკები ტრადიციულ საბანკო მომსახურების პარალელურად ინტენსიურად ნერგავენ და თანდათან ხვენენ ონლაინ-სერვისებს როგორც ინტერნეტით, ასევე მობილური ბანკინგით. კერძოდ, დღესდღეობით მომხმარებელს სამომხმარებლო ხსხის, ან ონლაინ-განვადების მისაღებად სახსიდან გასვლა არ სჭირდება — საამისოდ მხოლოდ ელექტრონული ფორმის შევსებაა საჭირო, კომუნალური გადასახადების გადახდის, გადარიცხვის თუ სხვა საბანკო ოპერაციის გაკეთება კომპილური ტელეფონითაცაა შესაძლებელი.

მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ წლეულს გამოიკვეთა საქმიან, იპოთეკურ და სამომხმარებლო საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია. ბიზნეს და იპოთეკური განაკვეთები საშუალოდ 3 პროცენტით, ხოლო სამომხმარებლო — 4-5 პროცენტითაა შემცირებული.

სავარაუდოდ, საბანკო ოპერაციების ეფექტიანობის ზრდა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ფართოდ გამოყენებას უნდა მოყვეს, შიდა ხარჯს საგრძობლად შეამცირებს. ეს კი, თავის მხრივ, ბიზნესის სხვადასხვა სახის წნეხისგან გათავისუფლების, დასაქმების დონისა და, შესაბამისად, მოსახლეობაში დაზოგვის სახსრების ზრდის ფონზე, ბანკებს უფრო მეტი ფინანსების მოზიდვის საშუალებას შეუქმნის, რაც, ვიმედოვნებ, სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კიდევ უფრო მეტად შემცირებას შეუწყობს ხელს.

ოთარ ტურაბალიძე

შემდეგი, რაც მახსოვს, ეს იყო, რომ ვილაყ მად-
გას თავზე. ძალიან ბნელოდა, რომ გამერჩია ამ კა-
ცის სახე, მაგრამ მას ჰქონდა რბილი და ნაზი ხმა. მან
მიხრა: „წამოდით ჩემთან, ედ, დროა ნახვიდეთ აქე-
დან“ — და ხელი გამოიშვირა. გადავწყვიტე, რომ უკვე
მოვეკვდი, ვინაიდან როგორც კი მისი ხელი შეეხო ჩემ-
სას, ტკივილი მთლიანად გაქრა. ქუჩას გავუყვივით და
რამდენიმე წუთის შემდეგ დიდ შენობასთან გავჩერ-
დით. შემოვტრიალდი და სახეში შევხედე — ეს მოხუცი
ჩინელი იყო. მან ქალაქის ფურცელი მომცა და მითხ-
რა: „აქეთ, ედ. აქ დაიწყება შენი ახალი ცხოვრება. გი-
სურვებ ბედნიერებას“. დავხედე ქალაქს, რომელიც
მან მომცა და, როდესაც თავი ავნიე, ის უკვე აღარ
იყო იქ.

ახალგაზრდა უკვე დიდი ხანია მიხვდა, თუ ვინ იყო
ედის იდუმალი გადამრჩენელი, მაგრამ რაღაც კოშ-
ტი მიაწვა ყელში, თვალები კი აუბრჭყვიალდა.

— ამ შენობაში რაღაც კრება მიმდინარეობდა, —
განაგრძობდა მისტერ ჰანსენი. — ანონიმურ ალკოჰო-
ლიკთა საზოგადოების კრება. მაგრამ იქ თბილოდა
და იდგა ცხელი ყავის სურნელი, ასე რომ, დავრჩი.
წავიკითხე ის ფურცელი, მოხუცმა რომ მომცა, და
ეს აღმოჩნდა...

— სია ათი კაცის სახელით, — დაამთავრა ახალგაზ-
რდამ.

— დიას, — ღიმილით დაუდასტურა მისტერ ჰანსენ-
მა, — მაგრამ ყველაზე გასაოცარი იყო ის, რომ... უკა-
ნასკნელი სახელი ეწერა ამ დარბაზში გაკრულ დაფა-
ზე. ეს იყო თავმჯდომარის, მისტერ ჯონ მეპლენდის
სახელი.

როდესაც კრება დამთავრდა, მე მივედი პირდაპირ
მასთან და ვუჩვენე ქალაქის ფურცელი. მაშინ მან
ხელი დამადო მხარზე და მიხრა: „ნუ ლეღავ, ედ, აქ
ყველა შენი მეგობარია. თუ დახმარება დაგჭირდეს,
აუცილებლად მონახავ მას აქ“. იმ საღამოს მართლაც
დამეწყო ახალი ცხოვრება, როგორც ის მოხუცი დამ-
პირდა. მიუხედავად ჩემი აძოკნის შეხედულებისა,
ყველა კეთილმეგობრულად იქცეოდა. პირველად მის-
მენდა ხალხი კილვისა და წინასწარგანზრახულობის
გარეშე.

რეგულარულად მივიდი ანონიმურ ალკოჰოლიკ-
თა შეხვედრებზე და დროთა განმავლობაში, ჩემი გა-
ბედულებისა და უფლის წყალობით, დაბრუნდი საღ
ცხოვრებაში. ამ დროის განმავლობაში მე შევხვდი სხვა
ადამიანებსაც იმ სიიდან, მოხუცმა რომ მომცა, და მათ
შთამაგონეს, მიჩვენეს, თუ როგორ დავიწყო ცხოვრება
ხელახლა ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამების დახმა-
რებით. მაგრამ იმ ღამით ყველაზე მნიშვნელოვანი რამ
მოხდა — ჩემი ცხოვრების გადარჩენაში მთავარი როლი
შეასრულა... ურთიერთდამოკიდებულების ძალამ.

— ურთიერთდამოკიდებულებისა? რა გაქვთ მხედ-
ველობაში? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— ძალა წინასწარგანუპირებლობის, მეგობრული
ურთიერთდამოკიდებულებისა. ადამიანებთან ურთი-
ერთდამოკიდებულების გარეშე ცხოვრება არარაო-
ბაა. ბოლოს და ბოლოს, ეს უნდა იყოს დღესასწაუ-
ლი, ხოლო როგორ შეიძლება იმხიარულო, თუ საღა-
მოს წვეულებაში მონაწილეობას ღებულობ მხოლოდ
შენ?

ადამიანის არსება — სოციალური ქმნილებაა. ჩვენ
გვჭირდება ვისაუბროთ, გვჭირდება ურთიერთობა,
ჩვენ გვჭირდება ვიგონოთ, რომ ჩვენც საჭირონი
ვართ, რომ გვეხარია. ჩვენ გვჭირდება ერთმანეთი. რო-
გორც ბიბლიაშია ნათქვამი: „არ არის კარგი, ოდეს ადა-
მიანი მარტოა“.

— როდესაც უკან ვიყურები, — განმარტა მისტერ ჰენ-
სენმა, — მე მესმის, თუ როგორი დაუდევრობით ვეპყ-
რობოდი ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ბიზ-
ნესში წარმატებისთვის ბრძოლაში. შეიძლება, ეს იმის
ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ სმა დავიწყე. ბევრი რამ
არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ზუსტადაა ცნობილი, რომ
ვერასოდეს შევძლებდი ჩემი პრობლემების დაძლევას
სიყვარულისა და მხარდაჭერის გარეშე იმ ოთახში,
რომელიც სავსე იყო უცნობებით და რომელთაგანაც
თითოეულს ესმოდა, თუ რა გადავიტანე, მიმიღეს ისე-
ვით, როგორც ვარ, შემომთავაზეს დახმარება, თანაც
არაფერს ითხოვნდნენ ჩემგან სამაგიეროდ. ცხოვრებაში
არის დრო, როდესაც შეიძლება აღმოჩნდე ისეთ ღრმა
ორმოში, რომ უბრალოდ ვერ ამოხვალ იქიდან დამო-
უკიდებლად. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ვილაყ, ვინც
ხელს გამოგინვდის.

მისტერ ჰანსენი ერთი წუთით გაჩუმდა.

— რომ შემკითხოვდნენ, რა გაკვეთილები გამოვიტანე
განვლილი ცხოვრებიდან, სიაში პირველი იქნებოდა
პრინციპი: ჩვენი ცხოვრების ხარისხს ჩვენი ურთიერთ-
ობანი განსაზღვრავს.

— რატომ? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— ბედნიერება, უწინარეს ყოვლისა, ჩნდება საკუთარ
თავთან ურთიერთობისგან, მაგრამ ამას გარდა, მეგობ-
რობისგან და სიყვარულისგან, გარშემომყოფებთან
თქვენი ურთიერთობით. საბოლოოდ განა ბევრ კმა-
ყოფილებას მივიღებდით, რაღაცას რომ მარტოობაში
ვაკეთებდით?

— ეს ძალიან სწორია, — თქვა ახალგაზრდამ. — შარშან
მარტო შევბუღებაში სეიშელის კუნძულებზე წავედი,
თუმცა, ყველაფერი შესანიშნავი იყო, მაინც რაღაც აშ-
კარად არ მყოფიდა. ყველაფერი სხვაგვარად იქნე-
ბოდა, გვერდით რომ ყოფილიყო ვინმე, ვისთანაც შე-
იძლებოდა კმაყოფილების გაზიარება.

— რასაკვირველია, — დაუდასტურა მისტერ ჰანსენმა.
— თუ თქვენს გვერდით არის ხალხი, რომელიც მნიშ-
ვნელოვანია თქვენთვის, სასიამოვნო განცდებს მოაქვთ
კიდევ მეტი კმაყოფილება, მაგრამ, განსაკუთრებით
ამსუბუქებს ძნელ დროს. თქვენ შენიშნეთ, რომ მას შემ-
დეგ, რაც დაეღობარაკები ვინმეს შენს პრობლემებ-
ზე, აუცილებლად სიმსუბუქეს იგრძნობთ? ადამიან-
მა შეიძლება არც მოგცეს რაიმე რჩევა და არ გაგი-
წიოს მნიშვნელოვანი დახმარება, პრობლემები ძვე-
ლებურად რჩება, და მაინც ისინი უკვე აღარ გეჩვენ-
ებენ ეგრე საშინლად.

ახალგაზრდამ თავი დაუქნია. მას განუხილავს თა-
ვისი უსიამოვნებანი ვინმე სხვასთან, და ამის შემდეგ
მართლაც გრძნობდა თავს უფრო უკეთესად.



— მაგრამ არის ერთი რამე, რომლისთვისაც თქვენ
არ შეგეძლოთ მიგეცეით ყურადღება, — განაგრძო
მისტერ ჰანსენმა. — ჩვენ ჩვეულებრივად უფრო ალელ-
ვებულები, შემოთვალისწინებები, დათრგუნვილები ან უბე-
დურები ვხდებით, თუ ჩვენს ფიქრებში ჩავიკეტებით.
როდესაც სხვებისგან ვმალავთ ჩვენს სირთულეებს,
ხშირად მათ ვებრავთ ისეთ ზომამდე, რომ დროთა გან-
მავლობაში გვეჩვენება უფრო საშინელი, და მაშინ
გვიჩნდება უსუსურობისა და უილაჯობის შეგრძნე-
ბა. ძველი ანდაზა — „ერთი თავი კარგია, ორი კიდევ უკე-
თესი“ — მეტად სამართლიანია — არა მხოლოდ იმიტომ,
რომ ორისთვის უფრო მარტივია მონახოს რაიმე პრობ-
ლემის გადაწყვეტა, არამედ იმ მიზეზითაც, რომ რო-
დესაც ადამიანი უზიარებს ვინმეს თავის პრობლემებს,
განგაშსა და უბედურებებს, მას ხშირად გულს ეშვე-
ბა, შევბას გრძნობს.

ურთიერთობა ადამიანებთან ამდინდრებს ჩვენს ცხოვ-
რებას. როდესაც უზიარებ ვინმეს სიხარულს, შენ აორ-
მაგებ მას, მაგრამ თუ პრობლემას უზიარებ, იგი სა-
ნახევროდ მცირდება. ლორდმა ბაირონმა, ინგლისელმა
პოეტმა, ეს ასე გამოხატა:

თუ სიყვარული გგვწვია,
უნდა გაფუფოთ იგი სხვას,
ბედნიერება, ხომ ვიცით,
ჩნდება, ვით ორი ტყუილ ძმა.

ახალგაზრდას ეს ყოველივე გულთან ახლოს მიჰქონ-
და. იგი ყოველთვის ცდილობდა თავისი პრობლემე-
ბი გულში ჩაეხვია. კი ჰყავდა მას მეგობრები და ოჯა-
ხიც, მაგრამ იშვიათად განიხილავდა მათთან ერთად
თავის განცდებს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ის არა-
სოდეს მიიჩნევდა ახლო ურთიერთობათა განვითარე-
ბას მარტივ საქმედ.

— ეს ყველაფერი შესანიშნავია, — თქვა მან, — და მე
მესმის, თუ რა გაქვთ მხედველობაში, მაგრამ ზოგი-
ერთ ადამიანს აქვს სირთულეები ურთიერთობაში.

— თუ არის სირთულეები ურთიერთობაში, ალბათ,
არის ცხოვრებისეული სირთულეებიც, — შენიშნა მის-
ტერ ჰანსენმა.

— დიას, — დაეთანხმა ახალგაზრდა. — მაგრამ ავიღოთ,
მაგალითად, ჩემი თავი. მე ყოველთვის მარტოსული
ვიყავი. ძალიან მიჭირს მეგობრების შერჩევა და მჭიდ-
რო ურთიერთობების დამყარება ადამიანებთან.

— როდისმე მოგისმენიათ ფრაზა: „წარსული — მო-
მავალი როდია?“. — არა.

— იგულისხმება, რომ თუ რაიმე მოხდა გუშინ, სუ-
ლაყ არ არის სავალდებულო, რომ ის დღესაც მოხ-
დეს. ის, რომ წარსულში გქონდათ სირთულეები ურ-
თიერთობასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ არ ნიშ-
ნავს, რომ იგივე პრობლემა შენარჩუნდება მომავალ-
შიც. ალბათ, წარსულში თქვენ ურთიერთობებს უბ-
რალოდ არასწორი თვალსაზრისით უდგებოდით.

— რა გაქვთ მხედველობაში? — შეეკითხა ახალგაზ-
რდა.

— დაეშუვათ, რა ხდის ადამიანს მიმზიდველად თქვენ-
თვის?

— არ ვიცი. უბრალოდ, ზოგჯერ ვუახლოვდები ადა-
მიანს, ზოგჯერ ვერა.

— კეთილი, შევხედოთ ამ საქმეს სხვა თვალსაზრი-
სით. ვისთან უფრო კარგად გრძნობთ თავს — ადამი-
ანთან, რომელიც პირდაპირ თვალეში გიყურებთ, თუ
მასთან, ვინც პირდაპირ შეხედვას გაურბის?

— მასთან, ვინც თვალეში მომჩვენებია.

— კეთილი. ვინ უფრო სიმპათიურია თქვენთვის —
ადამიანები, ვინც მტკიცედ გართმევთ ხელს თუ ისი-
ნი, ვისი ხელისგულიც სველია?

— მტკიცე ხელის ჩამომორთმევი.

— რასაკვირველია. ვისთან უფრო გირჩენიათ გქონ-
დეთ საქმე — კაცთან, რომელიც მხოლოდ თავის თავ-
ზე ლაპარაკობს თუ მასთან, ვისაც თქვენც აინტერე-
სებთ?

— რა თქმა უნდა, ვისაც მეც ვაინტერესებ, — უპასუ-
ხა ახალგაზრდამ. — მაგრამ ეს ხომ ყველაფერი ცხა-
დია?!

— თქვენ მართალი ხართ, — თქვა მისტერ ჰანსენმა,
— ეს მართლაც ცხადია, მაგრამ გრძნობთ ყოველივე
ამას, როდესაც პირველად ხვდებით ადამიანს? გაცუ-
დებოდით, თუ გაიგებდით, რომ ამდენი ხალხი არა-
სოდეს დაფიქრებულა ამაზე, შემდეგ კი უკვიროთ, რა-
ტომ უჭირთ მოანსერიგონ ურთიერთობა სხვა ადა-
მიანებთან.

ახალგაზრდამ ერთი წამით გვერდზე გაიხედა:

— თქვენ მართალი ხართ. პატიოსნად რომ გითხრათ,
მე არასოდეს ნამდვილად არ დაფიქრებულვარ ამაზე.

— ამას გარდა, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ურთიერ-
ობა ჩვენ მეგობრებთან, უნდა ვისწავლოთ მივიღოთ
ისინი ისეთებად, როგორებიც არიან, და არ მივაქციოთ
ყურადღება იმას, რაც შეიძლება მათი ნაკლოვანება
იყოს. ამის მაგივრად ყურადღება უნდა გავამახვილოთ
მათს დადებით და ალტაცების ღირს თვისებებზე. მზად
უნდა ვიყოთ მივუტევოთ შეცდომები, ვინაიდან გვინდა,
რომ მათ მოგვიტყვიონ ჩვენ ჩვენი.

— დიას, — დაუდასტურა ახალგაზრდამ. — წინა კვირას
მე ძალიან დიდხანს ვესაუბრებოდი ერთ კაცს მიტე-
ვების უნარის ძალაზე.

— მიტევების უნარი მეტად მნიშვნელოვანია ბედნი-
ერებისთვის, — თქვა მისტერ ჰანსენმა, — ვინაიდან უამი-
სოდ ჩვენ ვიქცევოდით მარტოსულებად და ბოროტე-
ბად. ჩვენს ურთიერთობებში ჩვენ ავტომატურად ვეპყ-
რობით სხვადასხვა ადამიანს. თუ მათ კარგად ვეპყ-
რობით, ისინიც ჩვეულებრივად ამითვე გვიპასუხებენ.

— და მაინც ურთიერთობა ყოველთვის როდია მარ-
ტივი, ასე არაა, განა? — შეეკითხა ახალგაზრდა. — მე
მგონია, ნებისმიერ ურთიერთობაში ყოველთვის არის
პრობლემები და აზრთა სხვადასხვაობა.

— რასაკვირველია, ისინი არის. მაგრამ მე მაქვს ერთი
მარტივი მეთოდი, რომელიც მესმარება ნებისმიერ ურ-
თიერთობაში.

— რა არის იგი? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— ყოველთვის ვცდილობ ნებისმიერ ადამიანს მოვეპყრა
ისე, თითქოს მას შემდეგ აღარასოდეს შევხვდები. შეე-
ცადეთ წარმოიდგინოთ, როგორ შეიცვლება ურთიერ-
თადამოკიდებულება მეგობრებთან, სამსახურის კოლე-
გებთან, ოჯახთან და უცნობებთანაც კი, თუ თითოეულს
მოეკიდებოდა ისე, თითქოს მათ ხედავთ უკანასკნელად?

ახალგაზრდამ თავი გააქნია.

— ჯერჯერობით ვერ ვახერხებ.

— როგორ მოეპყრობით მეუღლეს ან მეგობარ ქალს,
თუ დარწმუნებული იქნებით, რომ მათ ანი ველარა-
სოდეს შეხვდებით? მისცემთ თავს ნებას დაშორდეთ
მათ ისე, რომ არ აკოცოთ არ მოეხვიო?

— არა.

— დაემშვიდობებით, თუ გეცოდინებოდათ, რომ რო-
მელიც სადავო საკითხი გადაუჭრელი დაგრჩათ?

— არა.

— ნახვალთ ისე, რომ არ უთხრათ, თუ რა ბევრს ნიშ-
ნავს იგი თქვენთვის?

— არა.

— რას იტყვით სამსახურის კოლეგებ-
თან, მეგობრებთან და ოჯახის წევრებ-
თან დაკავშირებით? თუ დარწმუნებუ-
ლი ხართ, რომ რომელიმე მათგანს ვე-
ლარასოდეს შეხვდებით, განა არ შეეც-
დებით გახადოთ თქვენი ბოლო შეხვედ-
რა რაც შეიძლება დასამახსოვრებელი?
განა არ გამოიყენებთ ნებისმიერ ძალის-
ხმევას, რომ თავიდან აიცილოთ უსია-
მოვნო გრძნობები განშორების დროს?

(გაგრძელება იმდინა)

შეუცნობელი

მეცნიერებმა იმ იდუმალი ძალის კვლავ მიაგნეს, რომელმაც არა ერთი ათეული საზღვაო სომალდი და თვითმფრინავი იმსხვერპლა იმ ავბედით ადგილას, რომელიც მთელ მსოფლიოში ბერმუდის სამკუთხედის სახელითაა ცნობილი.

ჩვეულებრივ, ბერმუდის სამკუთხედს ატლანტიკის ოკეანის იმ უბანს უწოდებენ, რომელიც ბერმუდის კუნძულების, პუერტო-რიკოსა და ფლორიდის ნახევარკუნძულის უკიდურესი სამხრეთის შემაერთებელი სწორი ხაზებითაა შემოფარგლული.

მის გამოცანას ევროპელთაგან პირველი ქრიტიკორე კოლუმბო გადამყარა, რომელიც ამერიკის გზაზე სარგასის ზღვის ეს მონაკვეთი გადაკვეთა. თავისი სომალდის ჟურნალში მან მაშინ ეს ჩანაწერი გააკეთა: „ამ უბანზე ჰორიზონტზე უცნაური მოცეკვავე შუქები, ცაში ცეცხლის ენები შეინიშნება, სანავიგაციო ხელსაწყოებიც გვარიანად ურევენ“.

ჩვენ დროშიც კი ბერმუდის სამკუთხედში უამრავი გემი და თვითმფრინავი (მათ შორის სამხედრო ესკადრილიც კი!) უკვალოდ გაქრა. ჰიპოთეზა იმის თაობაზე, თუ რა ხდება სინამდვილეში ბერმუდის სამკუთხედში, ჯერ კიდევ ათი წლის წინათ გაჩნდა. მაშინ ეჭვი ბუნებრივ გაზ მეთანზე აიღეს – თითქოს ოკეანის ფსკერიდან ამოსული მისი უზარმაზარი ბუშტები ზედაპირზე მოცურავე საგნებს ძირავენ.

მაგრამ სკეპტიკოსები დაეჭვდნენ, რადგან არქიმედე გაახსენდათ: საგნები იმიტომ დაცურავენ, რომ მათი სიმკვრივე წყლისაზე ნაკლებია. ჰოდა, განა შეუძლია ბუშტებს სითხის სიმკვრივის იმდენად შემცირება, რომ ზედაპირზე მოცურავე საგანი ჩაძირონ? და რამდენი უნდა იყოს ასეთი ბუშტი, რომ მთელი სომალდი ჩაიძიროს? რეალურ ცხოვრებაში მეთანის გამოყოფას ხომ წყლის ალმავალი ჭაღვები ახლავს, რომლებმაც პირიქით, სომალდი ზედაპირზე უნდა ამოაგდოს?

2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების უმაღლესი სასწავლებლის (ქალაქი მონტერეი, კალიფორნია) ასპირანტმა ბრიუს დენარდომ კოლეგებთან ერთად სიტუაციის მოდელირება წყლიან კასრში მოახდინა. მეცნიერები ქვევიდან ჰაერის ჭაღვს სხვადასხვა ძალით აწვდიდნენ, წყლის ზედაპირზე ფოლადის ღრუ ბურთულაკები დაცურავენ, რომლებიც მშვიდ წყალში თავისუფლად ტივტივებდნენ, „გაზიანი“ კი იძირებოდნენ!



ბუშტები ოკეანის უფსკრულიდან

თუმცა, დენარდოს ექსპერიმენტმა სკეპტიკოსები ვერ დაარწმუნა, რადგან, მათი აზრით, ექსპერიმენტატორმა კასრში ალმავალი ნაკადისთვის სათანადო პირობები ვერ შექმნა.

ახლახან კი გაზის თეორიის კიდევ ერთხელ შემოწმება ავსტრალიელმა ოკეანოგრაფებმა უკვე ადგილზე გადაწყვიტეს. მელბურნის მონაშის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოზეფ მონაჰანმა და სტუდენტმა დევიდ მეიმ ბერმუდის სამკუთხედში ზღვის ფსკერის ყველაზე სახიფათო უბნები შეისწავლეს და მეთანის მასობრივი გაჟონების ძველი ვულკანური ამოფრქვევების ადგილებს მიაგნეს. ავსტრალიელებმა კვლევის შედეგად დასკვნა გამოიტანეს, რომ ზღვის უფსკრულიდან დიდი ოდენობით ამოიფრქვეოდა მეთანის არაპატარა ბუშტულაკები, არამედ გაზის უზარმაზარი ბუშტები.

– ფსკერის მიმდებარე ზონებში მეთანი კრისტალოჰიდრატების – წყლის შემცველი მყარი ნაერთების – სახითაა წარმოდგენილი, – ამბობს პროფესორი მონაჰანი. – დედამიწის წიაღიდან ამომავალი სით-

ბოსა და სხვა ფაქტორების ზეგავლენის შედეგად მეთანი კრისტალოჰიდრატებიდან გამოიყოფა და ფსკერის ნალექების ქვეშ მეგაბუშტებს წარმოშობს, რომლებიც ნებისმიერი მცირედი მექანიკური ზემოქმედების შედეგად წყლის ზედაპირზე შეიძლება ამოვარდეს. ასეთ „ფუგასებს“ თავისუფლად შეუძლიათ გემის ამოყრავება და მისი წყლის ძაბრში ჩათრევა. გარდა ამისა, ჰაერთან შეხებისას გაზს აფეთქება და, ამრიგად, თვითმფრინავების დაღუპვაც კი შეუძლია.

თავიანთი თეორიის დასტურად ოკეანოგრაფებმა ბერმუდის ფენომენის კომპიუტერული მოდელირება ჩაატარეს. საგანგებო პროგრამაში ჰიდროდინამიკის პრინციპები, ცვლადი სიდიდეები, კერძოდ მეთანის გიგანტური ბუშტების სიჩქარე, ასევე წყლის ფენის წნევა და სიმკვრივე და სხვ. შეიტანეს. კომპიუტერის ვერდიქტი ცალსახა იყო: **გიგანტურ ბუშტში მოხვედრილი ნებისმიერი გემი უმაღ კარგავს ტივტივის უნარს და ფსკერზე იძირება, ჰაერში აჭრილ ამ „ჭურჭებს“ კი იმ უბანში თვითმფრინავის ჩამოგდებაც შეუძლია.** მეტი დამაჯერებლობისთვის მეცნიერებმა დენარდოს ათი წლის წინანდელი ცდები გაიმეორეს, საბოლოო ანგარიშით აღმოჩნდა, რომ **გემი მაშინ იძირება, თუკი ბუშტის შუა ნაწილსა და მის გარე კედელს შორის სვედება. ნოლო თუკი სომალდი ბუშტის კედლისგან საკმაო მანძილითაა მოშორებული, ანდა უშუალოდ მის თავზე, მას საფრთხე არ ემუქრება. რისკი მხოლოდ ეკიბაჟის წევრებს ემუქრება, რომლებიც შეიძლება შხამიანი გაზით მოინამლონ.** სავარაუდოა, რომ სწორედ ამით აიხსნება ის იდუმალი შემთხვევები, როცა ბერმუდის სამკუთხედში მკვდარი მეზღვაურებით გემებს ნახულობდნენ, რომლებსაც ძალადობის არანაირი ნიშანი არ ეტყობოდათ.

სხვათა შორის, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ბერმუდის სამკუთხედის მსგავსი სახიფათო ადგილები დედამიწაზე მრავლადაა, მაგალითად, ჩრდილოეთის ზღვასა და ზემო ატლანტიკაში – ამერიკის ალმოსავლეთ სანაპიროსა და ევროპას შორის. ამ რაიონების ფსკერის ახლო ფენები ასევე მეთანითაა გაჯერებული. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 1850-სა და 1975 წელს შორის იქ 200-ზე მეტი გემი დაიკარგა, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე ბერმუდის სამკუთხედში, თუმცა კი მისი საიდუმლო ბოლომდე მაინც ამოხსნილი არ არის.

ენო ალექსანდრი

პრევიდენტობის კანდიდატი

– პალოლო, ჰაი პალოლო! – შესძახა დილაუტენია მეზობელს ჭიშკართან მიმდგარმა ზურაბმა. – ჩემად, კაცო, მანჯო (ვირის სახელია ქიზიყში – თ. ჩ.) არ გააღვიძო, – გამოსცრა ტუჩებზე ხელაფარებულმა პალოლო. – ვაა, რა კარგია, სადმე რო არ გამასწრო, – შვებით ამოისუნთქა ზურაბმა, – დღეს რთველი მაქვს ვინძლო ყურძნის გამოზიდვა-დაწურვაში მამეხმაროს.

– იი, რა ერთვლიანება, ჩემო ზურა, უკვე ორი თვეა თავლაბო თავუღებლივ მუშაობს.

– ისევე ჭადრაკის პარტიებს არ ჩეგს? – დაინტერესდა მეზობელი. – არა, ჭადრაკს რა ხანია თავი დაანება.

– ამა სხვა რით უნდა დაკავებულიყო ჩვენი საქმიანი და ჭკვიანი მანჯო?

– პოლიტიკით, ჩემო ზური, პოლიტიკით. ხომ ხედავ, დღევანდელ ცხოვრებაში ყველაზე სარფიანი პროფესიაა, თანაც, ვატყობ, მანჯო ერთობ მოწადინებელია.

– კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, – დაიჭრებო ზურა, – ვირი და პოლიტიკა სად გაგონილა?

– ამა რას ამბობ, შენ რომ გუნათლებელი იყო, მანჯოსი რა მრალია. ამ უამბიციო ვირზე უკეთესი პოლიტიკოსი ძნელი მოსაძებნია: გამრჯეა, პატიოსანი, უამბიციო, თანაც დემოკრატი.

– დემოკრატი? – ჰო, რა გიკვირს, ასე რომ არ იყოს, უპირველეს დემოკრატიულ ქვეყანაში მმართველი პარტია ვინს თავის ემბლემად რატომ აირჩევდა?

– მაიყა, მაიყა? – შარვალი შეისწორა ზურაბმა, – მივხვდი საითაც უბერავ! – ვითომ საით? – მანჯოს მაინცდამაინც ახლა რატო აუჩუქუნდა, იმიტომ ხომ არა,

რო პრევიდენტობა მოუნდა? – რატომაც არა, – თავი გამოიღო პალოლო, – ვითომ სხვებზე ნაკლები პრევიდენტი რით იქნება? ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ჩემო ძმაო, დამთხვეული მაინც არ არის, იმისი არ შეგვიზინდება, რო ხუშტურები წამოუვლის და ქვეყანას კლდეზე გადაჩეხავს.

– ჰო, მანჯო რო შლევი და

ძმაო, თითქოს ამქვეყნად არ ცხოვრობდე. ჩვენი მიზა რო ნამუსიანი და ქვეყნის პატრიოტი პრევიდენტი ყოფილიყო, გულზე ხელი დაიდევ, და მითხარი, ამდენხანს იდგომლებდა?

– ჰოდა, ნამუსის ქუდი რომ საზღვარგარეთის სკოლებში სირბილისას დარჩა, პანლური მაგიტომაც უჭირვს. ნამუსისა და პა-

– ძალიან მარტივად. გორგიჯანიძე ამომჩრეველებს ჰპირდება, თუ პრევიდენტი გავხდები, პენსიონერებს თვეში 300 დოლარს მივცემ, დასახლისებს – 200 დოლარს, ხოლო მომუშავესა და სხვა უსაქმურებს – 150 დოლარს ვამყოფინებო. 300-დოლარიანი პენსია, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია, მაგრამ თუ მანჯო 200-დოლარიანი ტყუილით დაკმაყოფილებდა, მის დანაპირებს ხალხი იოლად დაიჭერებს და სანუკვარი მიზნის მიღწევაც აღარ გაუჭირდება.

– კიდევ რას ურჩევ? – კიდევ იმას, რომ მანჯო ნაცებს სადაც კი წამოეწევა, თავის ვირული წიხლებით ცხვირ-პირი გაუნთიანოს. ეს ხალხის მოსაჩვენებლად, ფაქტობრივად კი, თუ სურს ევროპულ-ამერიკული დემოკრატია სამუდამოდ არ გადაიმტეროს, იმავე ნაცებთან და კოპამიტაციასთან ურთიერთპარტნიორული და მეგობრული დამოკიდებულება მოშლის ნაცვლად სამომავლოდ კიდევ უფრო განამტკიცოს.

მეც დავაპირე, ჩემი მხრივ, მანჯოსთვის რამდენიმე საქმიანი რჩევა მიმიცა, მაგრამ დიდი ქანცამწყვეტი წინასაარჩევნო გადატვირთვის გამო, ჩემთან სასაუბროდ ვერ მოიყალა. რა დასამალია, მართლაც მძიმე არჩევანის წინაშე დგას – მანჯო ნამუსსა და პატიოსნებას ან სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს, შუბლის ძარღვი გაიჩყვიტოს, ტყუილების გუდას ხვალვე მოხსნას პირი და ქვეყანა აამტვეროს, ან შეემუნას პრევიდენტობაზე ოცნებას და საკუთარი კანდიდატურა წამოყენებამდე მოხსნას.

მიდი, მანჯო, გარისკე!..
ოთარ
ჩართოლანი



ალიან-ჩალიანი
გუნი მსოფლიო უზო-უკლოდ დაკარგულთა სპარტაპორისო ღლე აღნიშნა
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უზო-უკლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საკუთარ ვებგვერდზე განცხადებას ავრცელებს.
– დღეს, როცა მსოფლიო უზო-უკლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, ჩვენი ფიქრები იმ ოჯახებისკენ არის მიმართული, რომელთა ოჯახის წევრებიც უზო-უკლოდ დაკარგულთა ბუნება და ადგილსამყოფელთან დაკავშირებული გაურკვევლობა საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მწარე რეალობად რჩება. მათი გულისტკივილის შესამცირებლად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოუწოდებს ყველას, ვინც ჩართულია ამ საკითხების გადაწყვეტაში, სრული თანამშრომლობისკენ და დაკარგულთა, მასობრივი სამარხების და დაკარგულთა სხვა ადგილების შესახებ ინფორმაციის გაცემისკენ. უზო-უკლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე ასევე გვასხვებს, რომ დაკარგულთა ბედის შესახებ გაურკვევლობა ერთნაირი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ოჯახებისთვის და ყველა საზოგადოებისთვის. ამ საკითხების გადაჭრა მნიშვნელოვანია საქართველოში საზოგადოების ურთიერთობების აღდგენისა და შეჩვეულებისთვის, – ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.
ინტერპრესი

ქიულო

ჭრიკიუვილის ბრაზილიური პერსული



რიო დე ჟანეიროში მიმდინარე ძიუდოსისტა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ნომრად იყო განთავსებული ქართველი მოჭიდავე ავთანდილ ჭრიკიუვილი (31 კგ), რომელიც ვეროპის წლებიდან ჩემპიონია. იგი ბრაზილიაშიც ახლოს იყო კვარცხლბეგის უმაღლეს საფეხურთან, მაგრამ ოქროს დუბლამდე ცოტა დააკლდა. ქართველმა ფალაგანმა სტარტზე ბელარუსი ალექსანდრ სტიაშენკა დაამარცხა იპონით და სლაგ მოჭიდავესთან პირადი ანგარიში 4:1 გასადა. მეორე არგენტინელ ემანუელ ლუციენტის აჯობა ვადამდე, ირანელი ამირ გასემ ნეჯადიცი იპონით ჩამოიშორა გზიდან ორ წუთსა და 13 წამში. ფრანგ ალენ შმიტთან ჭიდაობისას ილეთი ვერც ერთმა მხარემ ვერ გააკეთა, თუმცა პასიური ჭიდაობისთვის მსაჯებმა ფრანგი ოთხჯერ გააფრთხილეს

და ეს პაექრობაც ვადამდე დასრულდა ჩვენებურის გამარჯვებით. ამ მოგებით ჭრიკიუვილი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მრისხანე მეტოქე - ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ივან ნიფონტივი (რუსეთი) ელოდა. ქართველმა ფალაგანმა სანადელს აქაც მიაღწია, ოღონდ საფინალო გონგამდე ათიოდ წამით ადრე: მთელი ორთბრძოლის განმავლობაში უპირატესობას ჭრიკიუვილი ფლობდა, მეტოქეს ჯერ იუკო აართვა, მერე მსაჯებს გააფრთხილებინა სლაგი, ბოლოს კი მტკიცეული ილეთით სუფთა გამარჯვება მოიპოვა. რუსისთვის იმდენად მტკიცეული აღმოჩნდა ეს მარცხი, რომ იგი ბრინჯაოს მედლისთვის საპაექროდ ტაქტამზე არც გამოვიდა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ახალგაზრდებს

შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ლუის პიეტრიმ (საფრანგეთი) მონგოლ უგანბატარ ოტგონბატარს აჯობა. ამ უკანასკნელმა მეტექსმეტედფინალში ჩეხი იარომირ მუსილის მძლეველი ლევან ნიკლაური ჩამოიშორა გზიდან. 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალისტები (ავთანდილ ჭრიკიუვილიც ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია) წლეულს თებერვალში დიუსელდორფის დიდი პრიზის მერვედფინალშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ჩვენებურმა ის შესვენდრა იპონით მოიგო. რიო დე ჟანეიროში ქართველი ძიუდოსტი პირველსავე წუთზე იუკოთი დაწინაურდა, მაგრამ მეორე წუთის მიწურულს ფრანგმა ვაზარი აართვა მეტოქეს. დარჩენილი სამი წუთის განმავლობაში იგი ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა და მოახერხა კიდევ - მართალია, პასიურობისთვის სამი გაფრთხილება მიიღო, მაგრამ პიეტრიმ ფინალი საურველ დასასრულამდე მიიყვანა და მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა. ჭრიკიუვილს ვერცხლის მედალი ერგო. მესამე ადგილებზე ალენ შმიტი (საფრანგეთი) და ივან ვორობიოვი (რუსეთი) გავიდნენ.

ქალეებმა 63 კილოში გაითამაშეს ჯილდოები. ისრაელს პირველი ოქროს მედალი იარდენ გერბიმ მოუტანა, რომელმაც ფრანგ კლარის აგბენენუს არა მარტო სუფთად მოუგო, არამედ საძილე არტერიაც გადაუკეტა და ამ უკანასკნელის ტაქტამზე მოსულიერებას რამდენიმე წუთი დასჭირდა. ბრინჯაოს მედლები გვერის ემანემ (საფრანგეთი) და ანიცკა ვან ემდენმა (ჰოლანდია) დაისაკუთრეს. დავძენთ, რომ წინა დღით ასევე პირველად აჟღერდა კოსოვოს ჰიშინი ჰაილინდა კელმენდის ტრიუმფის აღსანიშნავად (52 კგ.).

ლემსო ცინცაძე

ევროპის ლიგა

ასე ვილა ფაფხუროს?



ძბრთულმა დუეტიმ უსახურად ითამაშა (თუ ამას თამაში ჰქვია) ევროპის ლიგის ბლეი-ოფში, ორრუნდიანი დუელი 0:12 (!) დათმო და პოპულარულ ევროტურნირებს სამარცხვინოდ გამოეთიშა. როცა ქვეყნის წამყვანი კლუბები ასეთ ალიყურს იწვევენ, საკითხავია, მთლიანად ქართული ფეხბურთის დღევანდელი დონე როგორ უნდა შეფასდეს? რასაკვირველია, უკიდურესად უარყოფითად.

ზოგიერთის აზრით, ამ საკითხში ერთგვარ ბარომეტრს ეროვნული ნაკრების ძალა განსაზღვრავს. სხვათა შორის, გარკვეულწილად ეს პოზიცია გასაზიარებელია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც ჩვენი „ჯვაროსნები“ წყვეტენ ციდან ვარსკვლავებს და მომავალი მუნდიალის შესარჩევი ტურნირის სუთუნდიან ბატალიებში თუ ბოლო ადგილს დააღწევენ თავს, დიდ მიღწევად შეგვიძლია ჩავუთვალოთ. ასე რომ, რადგან ანწყო არ გვწყალობს, უნდა ვიოცნებოთ, რომ მომავალი მაინც იყოს ჩვენი, ოღონდ სამამისოდ ქართული ფეხბურთის მამებთან ერთად საქმისადმი მიდგომა და მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს.

ევროპის ლიგა პლეი-ოფი „ტოტენჰემი“ - „დინამო“ 3:0 (პირველი მატჩი 5:0), „დილა“ - „რაბიდი“ 0:3 (პირველი მატჩი - 0:1).

ბია პლატონიშვილი



ჩემპიონთა ლიგა

წილი ნაყარია

მონაპოში მონყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა, რომელმაც ევროპული საკლუბო ელიტა ასე დაანარისხა.



„ა“ ჯგუფი. „მანჩესტერი“, „შახტარნი“, „ლვერკუზენი“, „სოსიედადი“. „ბ“ ჯგუფი. „რეალი“, „იუვენტუსი“, „გალათასარაი“, „კოპენჰაგენი“. „გ“ ჯგუფი. „ბენფიკა“, „პარი სენ-ჟერმენი“, „ოლიმპიაკოსი“, „ანდერლექტი“. „დ“ ჯგუფი. „ბაიერნი“, „ცსკა“, „სიტი“, „პლზენი“. „ე“ ჯგუფი. „ჩელსი“, „შალკე“, „ბაზელი“, „სტიაუა“.

„მ“ ჯგუფი. „არსენალი“, „მარსელი“, „ბორუსია“, „ნაპოლი“. „ნ“ ჯგუფი. „პორტუ“, „ატლეტიკო“, „ზენიტი“, „აუსტრია“. „ო“ ჯგუფი. „ბარსელონა“, „მილანი“, „აიაქსი“, „სელტიკი“. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის სასტარტო შეხვედრები 17-18 სექტემბერს გაიმართება, ხოლო ფინალურ მატჩს გაიხად 24 მაისს ლისაბონი უმასპინძლებს.

მანუარ ბიორგაძე

ნობუარტი

რაფამ და სერენამ მხოლოდ 3 გეიმი დათმეს



ბუმ-ის ღია პირველობის ფავორიტები სერენა უილიამსი და რაფა ნადალი მესამე წრეში დამაჯერებლად გავიდნენ. როგორც შარშანდელი შეჯიბრების ჩემპიონმა სერენამ, ასევე რაფამ მხოლოდ 3 გეიმი დაუთმეს მონინალმდეგეებს.

უილიამს-უმცროსმა გალინა ვოსკობოვეას 6:3, 6:0 სძლია, ნადალმა კი ბრაზილიელ როჟერიუ დუტრა და სილვას 6:2, 6:1, 6:0 მოუგო. მესამე ეტაპზე სერენა ყაზახეთის სახელით მოთამაშე იაროსლავა შევედოვას შესვენება, რაფას სამეხამენრეო ოპონენტი კი ხორვატი ივან დოდიგი იქნება.

ქალთა რეიტინგისი ლიდერმა უილიამსმა კლასიფიკაციის 77-ე ნომერ, 28 წლის ვოსკობოვეას დამარცხებას საათი და 9 წუთი მოანდომა. სერენას აქტივში 5 ბრეიკი და 4 ეისია. იგი კარიერის განმავლობაში მეორედ შესვდა ვოსკობოვეას და მეორედაც მოუგო. მსოფლიო რეიტინგისი მეორე ნომერმა ნადალმა 134-ე პოზიციაზე მყოფ ბრაზილიელთან პირველად შეხვედრისას 9 ბრეიკი და 3 ეისი განახორციელა და მესამე წრეში იოლად შეაბიჯა.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

პარლას და სუანის უცნაურობანი



მბზბრი ტანი აქვს? აქვს პროპორციები უფლება? უფლება სახეზე მომსიბღვლეია? მომსიბღვლეია აბა მაშ მეტი რაღა შეიძლება უნდოდეს ფლორენციის „ფიორენტინას“ კოლუმბიელ ფეხბურთელს სუან კუარდადოს, რომელმაც თანამემამულე მოდელს კარლა ოსას გული არა და არ გადაუშალა.

კარლა და სუანი ერთმანეთს თურმე ბავშვობიდან იცნობდნენ და როგორც ბავშვობისდროინდელ სიყვარულს ახასიათებს, მათ შორის იმაზე მეტი ახლობლობა იყო, ვიდრე ჩვეულებრივ წყვილს შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, კუარდადო მაინც ირწმუნება, რომ კარლასთან მისი ურთიერთობა სერიოზული არასოდეს ყოფილა. ორი წლის წინათ სულ ცოტა ხნის მანძილზე (დაახლოებით ერთი თვე) კარლა ოსა და სუან კუარდადო ბოგოტას ბარებში ერთად რამდენჯერმე ნახეს. ამის შემდეგ ფეხბურთელი იტალიაში დაბრუნდა და როდესაც მშვენიერ კარლაზე რამეს ჰკითხავენ, სიტყვას ყველაზე ბანზე უგდებს. არადა, შეხედეთ, რა ქალია ეს კარლა ოსა... თვალი მომცა და მაყურებინაო...

როსტომ რაჭველიშვილი

ალიარება

უეფამ რიბერი გამომარჩია

უეფას ვერსიით, გასული სეზონის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მიუწინის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი დასახელდა. ჟურნალისტებს შორის საბოლოო გამოკითხვა ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის დასრულებისთანავე ჩატარდა.

30 წლის რიბერიმ ლიონელ მესისა („ბარსელონა“) და კრიშტიანუ რონალდუს („რეალი“) აჯობა. როგორც წინასწარვე ცნობილი იყო, მადრიდელთა პორტუგალიელი შემტევი მონაკოში არ იმყოფებოდა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში რიბერიმ გერმანიის ბუნდესლიგა, გერმანიის თასი და უეფას ჩემპიონთა ლიგა მოიგო.



ბიორგი შოთაძე

ღანიჯანტი


საერთის ქიდევ ერთი პინადარი



ვენის უელახო ნლეულს გაზაფხულზე გარდაცვლილი პრეზიდენტის უგო ჩავესის ხსოვნისადმი მინი-მულტიფილმი გადაიღეს.
 ცოტა ხნის წინათ ვენესუელის სახელმწიფო ტელევიზიამ ვიდეორგოლი აჩვენა „მშვიდობით, კომანდანტი“: სპორტულ ქურთუკში გამონყობილი ან განსვენებული პრეზიდენტი, რომელსაც ხელში ქვეყნის დროშა უჭირავს, მწვანე კოინდარზე მოდის. ამ დროს მას სიმონ პოლივარი, სალვადორ ალიენდე, ერნესტო ჩე გევარა და ლათინური ამერიკის სხვა გამორჩეული ხელოვნების მამოძრავებელი მამოძრავებელი დედა, თავად ჩავესი ცოტა ხნით იბნევა, მაგრამ როცა კი ხვედბა ვისთან და სად არის (ეს კი, ცხადია, სამოთხევა), სიხარულით უერთდება მათ.
 აქვე დავძენთ, რომ ამერიკელთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ გარდაცვალების შემდეგ ჩავესი ჯოჯოხეთში მოხვდა, თუმცა კი თავად ვენესუელელებს, როგორც ცხედავთ, ამის თაობაზე სხვა აზრი აქვთ.

ფარული ეკონომიკის ჩრდილავი

დასამლომე ვეროპაში ყველაზე დიდი მასშტაბის ფარული ეკონომიკის მქონე ქვეყანა, თურმე, ბელგია ყოფილა.
 ბელგიური გამოცემის „მორგენის“ ცნობით, ქვეყანაში ფარული ეკონომიკის წილი 16,4 პროცენტი, ანუ 63 მილიარდი ევროა. ამასთან, გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ თავად ბელგიისთვის ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ბოლო ათი წლის მანძილზე.
 უზრუნველყოფის სხვა ციფრებსაც ასახელებენ: კერძოდ, გერმანიაში ფარული ეკონომიკის წილი 13 პროცენტია, საფრანგეთში - 9,9 პროცენტი, დიდ ბრიტანეთში - 9,7 პროცენტი, ჰოლანდიაში - 9,1 პროცენტი...



ევროკავშირის მასშტაბით ფარული ეკონომიკის წილის მიხედვით ლიდერები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არიან, რაც სულაც არ არის გასაკვირი. მაგალითად, ბულგარეთში მისი წილი მთლიანი ეკონომიკის 30 პროცენტს აღწევს.

მეზოკალო კარისაო...

ბრიტანულ გამოცემა „ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორის აზრით, რომელიც ჰომოფობიის ზოგიერთ საზოგადოებრივ ასპექტს ეხება, სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლებისა და გლბტ-თა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებების შორის კორელაცია არსებობს. კერძოდ, იქ, სადაც ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი უფრო მაღალია, მისი არატრადიციული ორიენტაციის მქონე თანამოქალაქეების მიმართ უფრო ნატიფი მიდრეკილება არსებობს.
 მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პარლამენტმა ცოტა ხნის წინათ დაუშვა ერთსქესა წყვილებისთვის ბავშვის შვილად აყვანა, „ტელეგრაფის“ მონაცემებით ირკვევა, რომ ეს ქვეყანა სექსუალურ უმცირესობათა მიმართ დასავლეთ ევროპაში ყველაზე დაბალი ტოლერანტობის მაჩვენებელი ხასიათდება. იქ გამოკითხულ რესპონდენტთა 28,8 პროცენტს არ სურს, რომ მის მეზობლად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირი ცხოვრობდეს - კაცი იქნება ეს თუ ქალი. შედარებისთვის ვიტყვი, რომ შვედეთში ეს მაჩვენებელია 3,6 პროცენტი, ნორვეგიაში - 5,7 პროცენტი, ესპანეთში - 7,4 პროცენტი, დიდ ბრიტანეთში - 16,8 პროცენტი, იტალიაში - 23,6 პროცენტი და ა.შ.
 ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გლბტ-თა მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების ლიდერები არიან **იორდანია**, სადაც ასეთ მეზობლობას გამოკითხულთა 95,1 პროცენტი არ ისურვებდა, **ირანი** - 93 პროცენტი და **საქართველო** - 89 პროცენტი.



შეზღუდავ ალკოჰოლი

თურქეთის მთავრობამ კანონპროექტი მოამზადა, რომლის მიხედვით იმ ადგილების ჩაბრუნება შეეცირდება, სადაც ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა ნებადართული იქნება.
 გავრცელებული განცხადებით, ამის მიზანი მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის მცდელობა არ არის: მთავრობის მიზანია ევროპაში ალკოჰოლის რეალიზებაზე კონტროლის დამყარების მიღებული პრაქტიკასთან დაახლოება, ასევე მისი მავნე შემოქმედებისგან მოზარდების, ზოგადად ახალგაზრდა თაობის დაცვა.

ჩვენი პრესდაიჯესტი

გაყენიერე გზისკენ



უზიშროვების საბაბო თუ საუზიშროვების?
 მძსპრტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ტელაში განვითარებული მოვლენები უცხოეთში საქართველოს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნითაა პროვოცირებული. „ფაქტია, წითელას ეპიდემიის შემდეგ რელიგიური შულების ეპიდემიის მონაწილე ვართ. რა თქმა უნდა, ეს საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის შიდა სტაბილურობას. არსებობს ოფიციალური დანერგვები, რომლებიც ამაზე უნდა რეაგირებდნენ და მკაფიონი იყვნენ შეხედულებებში ამ პრობლემის მიზეზებსა და აღმოფხვრის გზების შესახებ. ასეთად მესახება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც დღეს მოქმედებს, როგორც ეროვნული საშიშროების საბჭო.“

ნაციონალური მოძრაობა მხარს გიორგი მარგველაშვილს უჭირს

„ფიქრობს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე, - ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანას იმხელა გაყალბება სჭირდება, რომ ამას ვერავინ შეძლებს! ეგ გამორიცხულია! მაგრამ არსებობს მეორე, ამ ბოლო პერიოდში მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია, რომელიც ძალიან ხშირად მესმის, რომ ნაციონალური მოძრაობა აპირებს მხარი დაუჭიროს გიორგი მარგველაშვილს. მხარი დაუჭიროს იმიტომ, რომ ძალიან კარგად იცნან, მათი გამარჯვება ახსურდა. ეს არაფერს არ ეფუძნება, ამიტომ ცდილობენ, მხარი დაუჭიროს უკვე კოაბიტირებულ ხელისუფლებას, რომელთანაც გამონახული აქვთ საერთო ენა.“

საბრძოლველად არჩევნების შემდეგ ივანიშვილი საცხოვრებლად პარიზში გადავა?

„თუ გიორგი მარგველაშვილმა არჩევნებში გაიმარჯვა, მერწმუნეთ, მაქსიმუმ ერთ წელიწადში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება, - დარწმუნებულია „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატერაშვილი, - შესაძლოა, მარგველაშვილი მართლაც კარგი პიროვნება და ფილოსოფოსია, მაგრამ ახსოვს, რომ არჩევნები გაყალბდეს, რადგან პრემიერს ამის სურვილი არა აქვს, ჩემი ინფორმაციით, იგი საფრანგეთში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას და პარიზიდან მართავს საქართველოს.“

მედიკამენტების გაიფხვის პროცესი შეჩერდა

საბარტიველოში მედიკამენტების გაიფხვის პროცესი შეჩერდა. წამლის ღირებულება 20-50 პროცენტით მხოლოდ არჩევნების შემდეგ - 2 თვის განმავლობაში შემცირდა და მას შემდეგ პრეპარატებზე ფასის კლება არ მოხდარა. ფასების გაყინვის კონკრეტულ მიზეზებზე საუბარი უჭირთ ექსპერტებს, თუმცა, მათი ერთი ნაწილი წამლების გაიფხვას ხელისუფლების შეცვლას უკავშირებს, მეორე ნაწილი არჩევნებთან კავშირს გამოირიცხავს. ისინი მიიჩნევენ, რომ საცალო ქსელში მედიკამენტების გაიფხვით კომპანიებს მოგება არ შემცირებულია, რადგან კომპანიებმა მედიკამენტები თავად სამედიცინო სექტორს გაუქვირეს და ამით შემოსავლების დაბალანსება მოახერხეს.“

ციცხალი ანეკდოტები

რით განსხვავდება კარგი მოსწავლე ცუდისაგან? - ეკითხებიან პატარა მისოს.
კარგსა კლასელები ცემენ, ცუდსა - დედ-მამა.
 * * *
ნარკომანს მხარზე თოსი გაუფხია და შარბაზე მიტასაობს. შემოსვდება მეგობარი ნარკომანი.
- საით, ძმარ?
- ბოსტანში, სარეველებს უნდა ვებრძოლო.
- კი მაგრამ ვგრე სად დაბოლდი?
- დავბოლდი კი არა, კანაფი დავთესე და პამიდერებმა შეუტყეს.
 * * *
პანსიში ცხოვრობდა იუმორის გრძობით აღსავსე კაცი, რომელსაც მამაც დიდი მოლადავე ვინმე ჰყავდა და შვილს კათბა დაარქვა. ამ კათბასაც ტყუბი ვაყუბი შეეძინა და ტრადიციისათვის, რომ არ ელალატა ერთს „ყაზბეგი“ ჩაუნერა მეტრიკაში, მეორეს - „ნატასტარ“.
მძახვები შეხედნენ ერთმანეთს.
- შენი ლამარა ძალიან

კაღრი



ავტორთა სახურაფლავო
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
გ. ანკელაძის (მთავარი) პერმისიონისა) d. 19
ინფორმაცია 66434

გამომცემელი:
 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ. 599 79-76-79)
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება „კოლორში“
 (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uae(უაკ)070.4(479.22)
 5-323
 ISSN 2233-3851
 9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
 პასუხისმგებელი მდივანი
გაგუა შაბაძე 514 33-33-24